- მე-9 მუხ. პირველი ნაწ. ადამიანის ღირსება, შეესაბამება ძირითად უფლებათა ქარტიის პირველ მუხლს
- მე-9 მუხ. მე-2 ნაწ. წამების დაუშვებლობა, შეესაბამება ძირითად უფლებათა ქარტიის მე-4 მუხ., ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხ.;
- მე-10 სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, ძირითად უფლებათა ქარტიის მე-2 და მე-3 მუხ. პირველი ნაწ.; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხ. (სიცოცხლის უფლება)

ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა სრულად სამართლიანად მოწესრიგდა ცალკე მუხლად მისი უპირატესი მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვა ძირითადი უფლებებისთვის.

ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოების კონსტიტუციების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს, ისევე როგორც აბსოლუტური ძალის მქონე წამების აკრძალვა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ადამიანის ღირსების დაცვის გარანტიიდან.²¹ ფაქტობრივად, ადამიანის ღირსების დაცვის გარანტია წარმოადგენს ერთადერთ ძირითად უფლებას, რომელიც აბსოლუტურია, მაშასადამე, შეუზღუდავი.²² ამისგან განსხვავებით სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, შდრ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხ მე-2 ნაწ. და აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხ. მე-2 ნაწ. მე-3 წინადადება. შესაძლებელია ამ უფლებაში ჩარევა კანონის საფუძველზე (მაგ., პოლიციის მხრიდან მართლზომიერი ჩარევა, რომელიც მიზნად ისახავს უშუალოდ მომავალი საფრთხის დასრულებას, რომელიც მიმართულია თანაბარი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთეებისკენ); ანალოგიური მოქმედებს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებით. ეს გვიბიძგებს იმისკენ, რომ ხელახლა გავიაზროთ ძირითადი უფლებების ფარგლების მოწესრიგება. ამისთვის არსებობს ორი გზა: ერთი მხრივ, ზოგადი შემზღუდავი რეგულაციები ადამიანის უფლებათა ქარტიის 52-ე მუხ. შესაბამისად ან შვეიცარიის კონსტიტუციის 36-ე მუხ. შესაბამისად, ანდაც სულაც ძირითადი უფლებებისთვის დამახასიათებელი შემზღუდავი რეგულაცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სისტემატიკის შესაბამისად, ანდაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. ვინიდან კონსტიტუციის

²¹ Degenhart, in: Sachs, GG, 8. Aufl. 2017, Art. 104 Rdn. 41 ff.

²² Häberle, Rechtsgutachten, S. 13.

წინამდებარე კანონპროექტის მთელი რიგი ცალკეული ძირითადი უფლებები უკვე შეიცავს შესაბამის შემზღვეველ რეგულაციებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს.

2. პიროვნების დამატებითი დაცვა

კონსტიტუციის კანონპროექტი შეიცავს შემდეგ გარანტიებს პიროვნების დამატებითი დაცვისთვის:

- პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, მე-10 მუხ. არ გვაქვს პირდაპირ შესატყვისი რეგულაცია ძირითადი უფლებების ქარტიასა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში;
- ადამიანის თავისუფლების უფლება/ჰაბეას კორპუსის-უფლებები, მე-13 მუხ. შესაბ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხ. და ძირითადი უფლებების ქარტიის მე-6 მუხ.;
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება, მე-14 მუხ. შესაბ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-15 მუხ. და ძირითადი უფლებების ქარტიის მე-2 მუხ.;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მე-15 მუხ. პირველი და მე-2 ნაწ. შესაბ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხ. და ძირითადი უფლებების ქარტიის მე-7 მუხ.;
- მონაცემთა დაცვის უფლება, მე-15 მუხ. მე-3 ნაწ. შესაბ. ძირითადი უფლებების ქარტიის მე-8 მუხ.;
- რწმენის თავისუფლება, მე-16 მუხ. შესაბ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხ. და ძირითადი უფლებების ქარტიის მე-10 მუხ.; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხ.;
- ქორწინების უფლება, 27-ე მუხ. შესაბ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 მუხ. და ძირითადი უფლებების ქარტიის მე-9 მუხ.;

ა) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ევროპულ კონსტიტუციებში უშუალო ანალოგი არ აქვს, თუმცა ძალიან წააგავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველ ნაწილს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში მოწესრიგებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ორი მიმართულებით მოქმედებს: ერთი მხრივ, „პასიურად“, როგორც დამცავი უფლება პირად სფეროში შეჭრის წინააღმდეგ: ეს არის ზოგადი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც გამომდინარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხ. პირველი ნაწილიდან „აქტიური“ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც განიმარტება უმეტესწილად ზოგადი მოქმედების თავისუფლების ჭრილში. ნებისმიერი ადამიანური ქცევა, მათ შორის, აგრეთვე თავისუფალ

დროს განხორციელებული აქტივობა - ექცევა ძირითადი უფლებების ნორმის დისპოზიციაში.²³ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ამით მოქმედებს, როგორც ზოგადი ნორმა, რომელიც მოიცავს სხვა არდასახელებულ თავისუფლებებს და რომელიც ასრულებს ფუნქციას, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის კანონპროექტის მე-4 მუხ. მე-2 ნაწ. მე-3 წინადადების დანაწესით. სისტემური თვალსაზრისით ამ მუხლის შინაარსი მიესადაგება ძირითადი უფლებების ნაწილს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ცნება გასაგებად რომ განვმარტოთ, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ამ ჩანაწერის განმარტებასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში არსებობდა გარკვეული სირთულეები (პიროვნების თეორია vs. ზოგადი მოქმედების თავისუფლების თეორია²⁴). ეს ცნება ბავარიის ფედერაციული მხარის კონსტიტუციის 101-ე მუხ. შესაბამისად შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

„ყველა თავისუფალია კანონის მიერ დაწესებულ ფარგლებში გააკეთოს ყველაფერი, რაც ზიანს არ მიაყენებს სხვას“. ზუსტად ამას გულისხმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხ. პირველი ნაწ. პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებით.²⁵ ამით შეზღუდულობის პრობლემატიკაც გადაწყვეტილი იქნებოდა, რამდენადაც თვალსაჩინოა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შეუზღუდავად გაგებული ვერ იქნება.

ბ) ადამიანის თავისუფლება

ადამიანის თავისუფლების უფლება მე-13 მუხ. მიხედვით შეესაბამება ჰაბეას-კორპუსის-უფლებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხ. მიხედვით. შეიძლება დაფიქრება იმაზე, ხომ არ აჯობებს თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები პირდაპირ იქნეს ჩამოთვლილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხ. შესაბამისად. კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხ. განასხვავებს თავისუფლების აღკვეთასა და თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას შორის, მსგავსად გერმანიის კონსტიტუციის 104 მუხ. პირველი და მე-2 ნაწ., თუმცა რომელიც მხოლოდ თავისუფლების აღკვეთისთვის ითვალისწინებს, რომ ეს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების პირობებშია შესაძლებელი. თავისუფლების აღკვეთა გერმანიის კონსტიტუციის გაგებით წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ქვეფორმას და ამავედროულად მის ყველაზე ინტენსიურ გამოვლინებას.²⁶ ის ნიშნავს ადამიანის დაკავებას ვიწროდ შემოსაზღვრულ სივრცეში:²⁷ პატიმრობის ყველა ფორმას, როგორცაა პატიმრობა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, წინასწარი პატიმრობა, პატიმრობა ქვეყნიდან

²³ Dazu s. i. e. BVerfGE 80, 137 (Reiten im Walde); BVerfGE 104, 337 (Schächten), BGHSt 51, 211 (verdeckte Online-Durchsuchung), BayVerfGH BayVBl. 2006, 339 (Schleierfahndung); BVerfGE 104, 337 (Schächten); BVerfGE 121, 317 (Rauchverbot); BVerfGE NJW 2012, 1062 (Sonnenstudioverbot); Degenhart, Die allgemeine Handlungsfreiheit des Art. 2 I GG, JuS 1990, 161; Lege, Die allgemeine Handlungsfreiheit des Art. 2 I GG, Jura 2002, 753.

²⁴ Vgl. Hufen, Staatsrecht II - Grundrechte, 5. Aufl. 2016, § 14 Rdn. 6.

²⁵ Vgl. Hufen a.a.O.

²⁶ Vgl. BVerfGE 10, 302 (323); Schulze-Fielitz, in: Dreier III, Art. 104 Rdn. 25; Wittreck, HStR VII³, § 151 Rdn. 19f.; Müller-Franken, GRK, Art. 104 Rdn. 32f.; Degenhart, in: Sachs, GG. 8. Aufl. 2017, Art. 104 Rdn. 5.

²⁷ Degenhart, in: Sachs, GG. 8. Aufl. 2017, Art. 104 Rdn. 5; Gusy, in: v. Mangoldt/Klein/Starck III, 6. Aufl. 2010, Art. 104 Rdn. 19; aus der Rspr. BVerwGE 62, 325 (327); BGHZ 82, 261 (267).

გაძევების ან ექსტრადიციის გამო, პატიმრობა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება, პატიმრობა იძულებით რაიმე შედეგის მიღწევის მიზნით და აგრეთვე პრევენციული პატიმრობა და ჩაკეტილ დაწესებულებებში მოთავსება²⁸ ისევე როგორც პოლიციის იზოლატორში მოთავსება, უშუალოდ მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შენარჩუნებულია ფიზიკური გადაადგილების თავისუფლება „ყველა მიმართულებით“.²⁹ ამისგან განსხვავებით ცნება - თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა - ძალზე ფართოა და ამასთან ნაკლებად განსაზღვრული. ამის მიხედვით მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვას და არა თავისუფლების აღკვეთას წარმოადგენს შეჩერება და როგორც წესი, აგრეთვე დაკავება იდენტიფიკაციის დადგენის,³⁰ იძულებით წარდგენის, ან სისხლის აღების მიზნით.³¹ მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვა, როგორც წესი, წარმოადგენს პირდაპირ იძულებას იმპერატიული ბრძანებების განსახორციელებლად.³² ქუჩის რამდენიმესაათიანი გადაკეტვა, რომელიც ფიზიკურად ხელს უშლის შესაბამისი ადგილის დატოვებას, წარმოადგენს (მხოლოდ) თავისუფლების შეზღუდვას.³³

უნდა მოხდეს დაფიქრება იმაზე, რამდენად იგულისხმება ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა - ვინაიდან, ყველა ამ შეზღუდვისთვის მოსამართლის გადაწყვეტილების არსებობის სავალდებულოობა რთულად განხორციელებადი იქნებოდა.

წინასწარი პატიმრობის შეზღუდვა, ერთი მხრივ, მისასაღმებელია ძირითადი უფლების ეფექტიანად დაცვის ინტერესების გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ყოველ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილება გვასწავლის, რომ უწინარესად კომპლექსური ეკონომიკური სისხლის სამართლის საქმეებზე შესაძლებელია აუცილებელი გახდეს უფრო ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა საქმის გარემოებებში საკმარისად გარკვევის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებების განადგურების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, ამასთან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, აგრეთვე ფედერაციული მხარეების საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკა მუდმივად ითხოვდა, რომ წინასწარი პატიმრობა უნდა ყოფილიყო თანაზომიერი და ორიენტირებული მოსალოდნელი სასჯელის ზომაზე და რომ ერთ წელზე მეტი ხნით წინასწარი პატიმრობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთების პირობებში უნდა ყოფილიყო დასაშვები. თუ საქართველოში სასამართლოების ძირითადი უფლებების დაცვის ფუნქცია ანალოგიურად არ არის უზრუნველყოფილი, ამ შემთხვევაში საჭიროა იქნება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზედა ზღვარის დაწესება.

²⁸ BVerfGE 58, 208 (220f.); 70, 288 (311ff.); EGMR NJW 1999, 2727.

²⁹ Degenhart, in: Sachs, GG. 8. Aufl. 2017, Art. 104 Rdn. 5.

³⁰ Sistieren – vgl. Schulze-Fielitz, in: Dreier III, 2. Aufl. 2010, Art. 104 Rdn. 2.

³¹ Vgl. Kunig, in: v. Münch/Kunig III, 6. Aufl. 2012, Art. 104 Rdn. 20

³² BVerwGE 62, 325 (327); Rüping BK, Art. 104 (2008) Rdn. 58.

³³ Degenhart, in: Sachs, GG. 8. Aufl. 2017, Art. 104 Rdn. 7.

„თავისუფალი მიმოსვლის“ უფლება მე-14 მუხ. ექვემდებარება შეზღუდვებს მსგავსად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხ. – მიმოსვლის თავისუფლება“.

გ) პირადი ცხოვრების სივრცე

პირადი ცხოვრების სივრცის დაცვის უფლება მე-15 მუხ. ბინისა და სამუშაო ადგილის დაცვით, როგორც ჩანს გულისხმობს სივრცითი სფეროს დაცვას და კომუნიკაციის დაცვით მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის საიდუმლოებას.

ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, უფრო გასაგებად შეიძლება გადმოიცეს.

გარდა ამისა, პირადი ცხოვრების სივრცის დაცვა, როგორც ეს მე-13 მუხლშია ფორმულირებული, არ არის ზუსტად გამოხატული, რამდენადაც პირადი ცხოვრების უფლება სცდება სივრცითი პირადი სფეროს დაცვას. ის დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხ., გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხ. პირველი ნაწ. პირველი მუხ. პირველ ნაწილთან კავშირში და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:³⁴

პირადი ცხოვრების სფეროს დაცვა³⁵, სფეროსი, რომელსაც თავს აფარებს ძირითადი უფლებების მატარებელი, რამეთუ თავი დააღწიოს საჯარო განხილვასა და საქვეყნოობას. სივრცითი თვალსაზრისით პირადი ცხოვრების სფეროს განეკუთვნება ცალკეული ინდივიდის თავშესაფარი, რომელიც მისთვის უზრუნველყოფს მათ შორის საცხოვრებელი სახლის გარეთ საკუთარი თავის პოვნისა და განტვირთვის შესაძლებლობებს.....³⁶.

ამასთან, ჩვეულებისამებრ, ხორციელდება დაყოფა „სფეროების“ მიხედვით, რომელშიც ნებადართულია ჩარევა, თუმცა თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, და სოციალურ სფეროდ, რომელიც კიდევ უფრო ფართო შეზღუდვებს ექვემდებარება. ეს სფეროების თეორია არ არის მთლად უდავო, მით უფრო, რომ ხელშეუხებელი „ინტიმური სფერო“ აქამდე დამაკმაყოფილებლად არ განუმარტავთ. შესანარჩუნებელია განსაკუთრებით პირადულობის შემადგენელი ადამიანური ღირსების საკვანძო ელემენტი.

საკუთარი თავის წარმოდგენის უფლება, განსაკუთრებით, როგორც უფლება საკუთარ გამოსახულებაზე³⁷ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება მისი გრაფიკული გამოსახულების დამზადებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგადი პირადი ცხოვრების დაცვის უფლება მაშინაც ირღვევა, როდესაც ადგილი აქვს არასწორი განცხადებების დაბრალებას, გაყალბებული სურათების გავრცელებას.³⁸ პიროვნული

³⁴ Degenhart, Das allgemeine Persönlichkeitsrecht, Art. 2 i.V.m. Art. 1 I GG, JuS 1992, 361; Lang, Videoüberwachung und das Recht auf informationelle Selbstbestimmung, BayVBl. 2006, 522; Germann, Das Allgemeine Persönlichkeitsrecht, JURA 2010, 734 Schoch, Das Recht auf informationelle Selbstbestimmung, JURA 2008, 352; Sachs/Krings, Das neue „Grundrecht auf Gewährleistung der Vertraulichkeit und Integrität informationstechnischer Systeme“, JuS 2008, 481. Kahl/Ohlendorf, Grundfälle zu Art. 2 I i.V. mit 1 I GG, JuS 2008, 682.

³⁵ BVerfGE 101, 361 (382).

³⁶ BVerfGE 120, 180 (205).

³⁷ BVerfGE 120, 180 (198).

³⁸ BVerfG [K] NJW 2005, 3271

იდენტურობის დაცვა მოიცავს პირის იდენტურობას, მაგ. საკუთარი წარმომავლობის ცოდნას.³⁹ ამასთან გადამწყვეტია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში, მონაცემთა დაცვის უფლება (ინფორმაციული თვითგანსაზღვრა), ნდობა საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ინტეგრირებულობის მიმართ („კომპიუტერული/ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ძირითადი უფლება“). ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქმე ეხება პირადი ცხოვრების დაცვას, მეორე მხრივ, საკუთარი თავის წარმოდგენის უფლებას; იგულისხმება ზოგადი პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის უფლების ერთი შემადგენელი კომპონენტი;⁴⁰ კიდევ ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ⁴¹ განვითარებული ძირითადი უფლება ნდობასა და ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების ინტეგრირებულობის უზრუნველყოფაზე. პირადი ცხოვრების სფეროს დაცვაში შედის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება 01.05.2017-ის კონსტიტუციის პროექტის მე-15 მუხ. მე-3 ნაწ.

ძირითადი უფლებების დოგმატიკის აქტუალური მდგომარების შესაბამისად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მე-13 მუხლში თავდაპირველად ზოგადად პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის უფლების მოწესრიგება, ხოლო სივრცითი პირადი ცხოვრების სფერო და მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების დაცვა უფრო გასაგებად იქნეს მოწესრიგებული.

დ) რწმენისა და სინდისის თავისუფლება

რწმენისა და სინდისის თავისუფლების ძირითადი უფლება მე-16 მუხლში დანახულ უნდა იქნეს მე-8 მუხლის დანაწესთან კავშირში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლი საქართველოს ისტორიაში; ამასთან კავშირში ვუთითებ ჰებერლეს მოსაზრებებზე მე-9 მუხ. დაკავშირებით.⁴² მე-16 მუხ. მე-3 ნაწ. დათქმა ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც ის ემსახურება მესამე პირების კონსტიტუციური უფლების დაცვას („სხვათა“).

ე) ქორწინების უფლება

ჩემი ვარაუდით, ფორმულირება „ქალი და მამაკაცი“ 30-ე მუხ. პირველი ნაწილში ძირითადი უფლებების ქარტიის მე-9 მუხ. განსხვავებით, თუმცა რომელიც თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 მუხლთან შეგნებულად შეირჩა, რომ ამით გამოირიცხოს ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინება კონსტიტუციის შემცვლელი კანონმდებლის ნების შესაბამისად. მაშინ, როდესაც ძირითად უფლებათა ქარტიის მე-9 მუხლი წევრი-სახელმწიფოებისთვის აღიქმება როგორც ე.წ. ღია დათქმა, რომელიც იძლევა ამ საკითხის განსხვავებული მოწესრიგების შესაძლებლობას.⁴³ ეს ქართველმა კანონმდებელმა ავტონომიურად უნდა გადაწყვიტოს. პირველი ნაწილის ფორმულირების მიხედვით ოჯახის

³⁹ EGMR NJW 2003, 2145.

⁴⁰ S. auch Hufen, Staatsrecht II, der in § 12 informationelle Selbstbestimmung als eigenständige GrBVerfGE 120, 274. undrechtsgewährleistung einordnet.

⁴¹ BVerfGE 120, 274.

⁴² Häberle, Rechtsgutachten, S. 13.

⁴³ vgl. Jarass, Charta der Grundrechte, 2010, Art. 9 Rdn. 5.

დაარსება დამოკიდებულია ქორწინებაზე, ევროპის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-9 მუხ. ეს მიდგომა ძირითადად უარყოფილია⁴⁴. ეს წამოჭრის კითხვას კონსტიტუციაში ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კითხვას, არის თუ არა ქორწინება „ოჯახის“ წინაპირობა, რამდენად მოიცავს ოჯახის ცნება მაგ. მარტოხელა დედებს, მათ შორის, ამ უკანასკნელის სასიკეთოდ მეტყველებს 30-ე მუხ. მე-2 ნაწ. ფორმულირება.

3. კომუნიკაციის ძირითადი უფლებები

კომუნიკაციის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით კონსტიტუციის კანონპროექტი შეიცავს შემდეგ გარანტიებს:

- აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, მე-17 მუხ., შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხ. და ძირითად უფლებათა ქარტიის მე-11 მუხ.;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, მე-16 მუხ. პირველი და მე-2 ნაწ. შეესაბამება ძირითად უფლებათა ქარტიის 42-ე მუხ.;
- შეკრების თავისუფლება, მე-21 მუხ. შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხ. და ძირითად უფლებათა ქარტიის მე-12 მუხ.;
- გაერთიანების თავისუფლება, მე-22 მუხ. შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხ. და ძირითად უფლებათა ქარტიის მე-12 მუხ.

ა) აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, მედიის თავისუფლება

აზრის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ის „როგორც ადამიანის პიროვნულობის უშუალო გამოხატულება საზოგადოებაში, წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე უპირატეს უფლებას“ და „გარკვეული თვალსაზრისით ყველა თავისუფლების ფუნდამენტს“.⁴⁵ შესაბამისად, საფრანგეთის ადამიანის და მოქალაქეთა უფლებების 1798 წლის დეკლარაციის მე-11 მუხ. ამბობს: *“La libre communication des pensées et des opinions est un des droits les plus précieux de l’homme”*. ჩემი აზრით, ამასთან შესაბამისობაშია, როდესაც მე-17 მუხ. პირველ ნაწილში აზრის გამოხატვის თავისუფლება თავში წერია, ვინაიდან ამ უფლებიდან გამომდინარეობს კომუნიკაციის ყველა სხვა უფლება.

ცალკე მდგომი ძირითადი უფლებათა ინფორმაციის თავისუფლების უფლება, მაშასადამე, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის თავისუფლად,

⁴⁴ Streinz, in: Streinz, EUV/AEU, 2. Aufl. 2012, Art. 9 Rdn. 7 unter Verweis auf EuGH Rs. C-117/01; aM - für Erfordernis einer rechtlich verbindlichen Eheschließung - Tettinger, in: Sachs/Stern, Europäische Grundrechtecharta, 2016, Art. 9 Rdn. 23.

⁴⁵ BVerfGE 7, 198, 208.

დაბრკოლებების გარეშე მიღების უფლება, რაც კონსტიტუციის ისტორიის მიხედვით შედარებით გვიან დარეგისტრირებული უფლებაა; მისი ფორმულირება მოხდა ტოტალიტარული პროპაგანდისტული პოლიტიკის გამოცდილების შედეგად წარმოქმნილი უშუალო შთაბეჭდილების შედეგად.⁴⁶ ის პირველად გვხვდება 1945 წლის შემდგომ შექმნილ კონსტიტუციებში, მაგ. ბავარიის ფედერაციული მხარის 1946 წლის კონსტიტუციის 112-ე მუხ. მე-2 ნაწ. (სადაც ის უშუალოდ ისტორიული კონტექსტიდანაა ნაკარნახევი: „დაუშვებელია რადიომაუწყებლობისა და ბეჭდური ნაწარმოებების მიღების შეზღუდვა“), სხვა ფედერაციული მხარეების ფედერალურ კონსტიტუციამდელ კონსტიტუციებში⁴⁷ და ასევე ფედერალური კონსტიტუციის მე-5 მუხ. პირველი ნაწ. პირველ წინ. კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხ. მე-2 ნაწ. ზუსტად გადმოსცემს ამ ძირითად უფლებას; განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ მე-4 ნაწ. ის განვრცობილი და დაკონკრეტებულია ინფორმაციის ინტერნეტით მიღების დაცული უფლებით. ინტერნეტის გამოყენებით მოცულია აგრეთვე ინტერნეტის აქტიური გამოყენება, მაშასადამე აზრის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით.

მე-17 მუხ. მე-3 ნაწ. უზრუნველყოფს ზოგადად მასმედიის თავისუფლებას და არ ასახელებს კონკრეტულ მედიასაშუალებას, როგორცაა პრესა ან ტელე-რადიო მაუწყებლობა. ეს გონივრულია არსებითი პრაქტიკული სირთულეების გამო, რაც უკავშირდება სხვადასხვა მასმედიის - რადიომაუწყებლობა, სატელევიზიო მაუწყებლობა, ინტერნეტმაუწყებლობა, ფილმი და ბეჭდვითი მედიასაშუალებები, ერთმანეთისგან გამიჯვნას, ვინაიდან მედიასაშუალებების ერთმანეთთან დაახლოების პროცესში⁴⁸ სულ უფრო რთული ხდება საზღვრების გავლება აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დაცულ ინდივიდუალურ კომუნიკაციასა და მედიის თავისუფლებას მიკუთვნებად მასობრივ კომუნიკაციას შორის და აგრეთვე ცალკეულ მედიის თავისუფლებას შორის.⁴⁹ მასმედიასთან მიმართებით, ერთი მხრივ, მოცულია მედია საშუალებების არსებული ფორმები, როგორცაა სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობა და ბეჭდური მედია, მეორე მხრივ, ეს ცნება ღია სივრცეს ტოვებს განვითარებისთვის. ვინაიდან მე-4 ნაწ. პირდაპირ არის გათვალისწინებული ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლება, კონსტიტუციური დებულებების გამოყენებისას აუცილებელი იქნება გამიჯვნა მედიის თავისუფლებას მე-3 ნაწ. მიხედვით და ინტერნეტის თავისუფლებას შორის. ამისთვის გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს მედიას, არამედ გადაცემის საშუალებას, საკომუნიკაციო, ტექნიკურ ინფრასტრუქტურას.⁵⁰

⁴⁶ Starck, in: v.MKS I, Art. 5 Rdnr. 39; zum historischen Kontext s. auch BVerfGE 27, 71, 80

⁴⁷ Art. 13 hessVf 1946, Art. 15 Abs. 5 bremVf 1947, Art. 10 Abs. 2 rhpfVf 1947, vgl. Starck, in: v.MKS I, Art. 5 Rdnr. 39 mit Fn. 131.

⁴⁸ Dazu Schulze-Fielitz, in: Dreier, I, Art. 5 Rdnr. 63; Hain, K&R 2006, 325 ff.; v.Coelln, AfP 2008, 433, 437 f.; Koreng, Zensur im Internet, 2010, S. 43 ff. Broemel, ZUM 2012, 866 ff.; Degenhart, in: FWMR (Hrsg.), Konvergenz der Medien – Konvergenz des Rechts ?, 2009, S. 81 ff.; Müller-Terpitz, K&R 2012, 476, Ladeur, ZUM 2012, 939 ff.; Blazquez, in: IRISplus 2013-4, 7 (28)

⁴⁹ Vgl. dazu Degenhart, Konvergente Medien, 2014, S. 12 ff., 21 ff.

⁵⁰ Stern, Die Rundfunkfreiheit, Staatsrecht IV/1, 2006, § 110 II.3 g, S. 1673.

მე-17 მუხ. სწორად უსვამს ხაზს პლურალიზმის უზრუნველყოფას,⁵¹ რაც მე-3 ნაწ. მე-2 წინ., მე-6 და მე-7 ნაწილებშია გამოხატული; ფორმულირებისა და სისტემური თვალსაზრისით საკმარისად გასაგებია, რომ კანონმდებელს შეუძლია გამოსცეს რეგულაციები მონოპოლიებისგან დაცვის მიზნით. მე-6 ნაწილი ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობას და შესაძლოა დანახულ იქნას ამ მაუწყებლობის არსებობის შენარჩუნების გარანტიად, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ ასე არ არის გამოხატული, როგორც ეს უწინდელ კანონპროექტში იყო. საჯარო-სამართლებრივი რადიომაუწყებლის არსებობის გარანტია ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ რადიომაუწყებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით დაუკავშირა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხ. პირველი ნაწ. მე-2 წინ. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „მედიებს შორის რადიომაუწყებელს მისი ფართო გავრცელებიდან, აქტუალურობიდან და განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ემოციური ძალიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“.⁵² კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ რადიომაუწყებელი სახელმწიფოსგან და აგრეთვე ცალმხრივი საზოგადოებრივი მფლობელობისგან თავისუფალი იყოს. არ უნდა არსებობდეს აზრის მონოპოლიები, პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აზრობრივი და საგნობრივი მრავალფეროვნება.

დამატებით შეიძლება ხაზი გაესვას, რომ ხელშეუხებელია რადიომაუწყებლობის კერძო საკუთრებაში არსებობის თავისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ნაწ. თავის თავში მოიცავს ამ თავისუფლებას.

მე-7 ნაწ. დანაწესი, ყოველ შემთხვევაში, გერმანულ თარგმანში მთლად გასაგებად არ არის ფორმულირებული; შეიძლება და შინაარსისა და მიზნის უფრო გასაგებად ჩამოყალიბება.

მე-5 ნაწ. შემზღველი რეგულაცია ძირითადად შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხ. მ-2 ნაწილს. ჩემი აზრით, შეიძლება არასრულწლოვანთა დაცვის კიდევ უფრო გასაგებად ხსენება. ცენზურის აკრძალვა სისტემურად დამაჯერებლად არის ჩართული მედიის თავისუფლების უზრუნველყოფაში მე-3 ნაწ.

ბ) კარგი მმართველობის უფლება

სისტემური თვალსაზრისით კომუნიკაციის თავისუფლების უფლების უზრუნველყოფას, მე-17 მუხ., კარგი იქნებოდა მოყვებოდეს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებები; ეს ძირითადი უფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ქარტიის 41-ე მუხლით განსაზღვრული, კარგი მმართველობის უფლების განვრცობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება - 18 მუხ. პირველ ნაწ. - შეესაბამება ევროპაში არსებულ აქტუალურ სტანდარტებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან

⁵¹ So auch Häberle, Rechtsgutachten S. 19.

⁵² 35 BVerfGE 90, 60 (87).

დაკავშირებით. მონაცემთა დაცვის უფლება სისტემურად კარგად არის განთავსებული პირადი სივრცის დაცვის მუხლში, მე-15 მუხ. მე-3 ნაწ.

გ) შეკრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება

ერთი შეხედვით მთლად გასაგები არ არის, რას გულისხმობს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირების გამორიცხვა მე-21 მუხ. პირველი ნაწილის მიხედვით: მათ ზოგადად არ უნდა მიეცეთ შეკრების უფლება, თუ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიკრიბებიან, როგორც შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირები? ეს შეზღუდვა, როგორც ასეთი, ეწინააღმდეგება მოქალაქეობრივი თანასწორობის იდეას. თუმცა შესაძლებელი ის უკავშირდებოდეს ისტორიულ გამოცდილებას და აქედან გამომდინარე შეიძლება გამართლებული იყოს. ამის შეფასება მე არ შემიძლია.

შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფა ძირითადად შეესაბამება ზოგად ევროპულ ძირითადი უფლებების სტანდარტს. ეს აგრეთვე მოქმედებს გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 22-ე მუხ. პირველი ნაწილის ფორმულირება ჩემი აზრით საკმარისად გასაგებად ამბობს, რომ საქმე ეხება როგორც თვითონ გაერთიანების ასევე მისი წევრების ძირითად უფლებას.

4. ეკონომიკური ძირითადი უფლებები

კონსტიტუციის კანონპროექტი შეიცავს ეკონომიკური ბუნების ძირითადი უფლებების მოცულობით გარანტიებს:

- საკუთრების გარანტია, მე-6 მუხ. მე-3 ნაწ. და მე-19 მუხ. შეესაბამება ძირითადი უფლებების ქარტიის მე-17 მუხ., ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის პირველ მუხ.;
- შრომის თავისუფლება, 24-ე მუხ. შეესაბამება ძირითადი უფლებების ქარტიის მე-15, 16 მუხ.

ა) საკუთრება

საკუთრების გარანტია მე-19 მუხ. სამართლიანად ასხვავებს საკუთრების ჩამორთმევას მე-3 ნაწ. და სხვა შეზღუდვებს შორის, მე-2 ნაწ. უწინდელი ფორმულირება „ხელშეუხებელი“ შეიცვალა 01.05.2017 ვერსიაში; „ადიარებული და უზრუნველყოფილი“ შეიძლება გაგებულ იქნეს, უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების უზრუნველყოფის კუთხით კონსტიტუციის საფუძვლების დებულებებში მე-6 მუხ. მე-3 ნაწ. როგორც მოცულობითი ძირითადი უფლების გარანტია. ფედერალური კონსტიტუციის მე-14 მუხ. საკუთრების გარანტიის კუთხით ამასთან კავშირში საუბარია საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტიაზე. კანონმდებლის მიერ საკუთრების ფორმირება უნდა ხორციელდებოდეს მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესების სამართლიანი ურთიერთშეფარდების პირობებში. საზღვარს აწესებს საკუთრების ე.წ. „ინსტიტუტის გარანტია“: როდესაც კანონმდებელი საკუთრების ფორმირებას ახდენს შინაარსისა და

შეზღუდვების მიხედვით, მაშინ ყოველთვის საქმე ეხება „საკუთრებას“, როგორც კერძო საკუთრებას, რომელიც იმსახურებს სახელწოდება „საკუთრებას“, და არა მხოლოდ ფორმალურ სახელწოდებას.⁵³ ალბათ, ეს არის ნაგულისხმევი კონსტიტუციის პროექტის მე-6 მუხ. მე-3 ნაწ.

მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით სპეციალური წესების დაწესება გამართლებულია მისი მაღალი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც სიკეთე, რომელიც ვერ გამრავლდება; მიწის ნაკვეთებისას, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია სიტუაციიდან გამომდინარე მიდგომის კრიტერიუმი: საკუთრების დაცვის ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, რომელშიც ჩართულია ეს მიწის ნაკვეთი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიწის შეძენის დანაწესი, როგორც ჩანს, ადარ იქნება; ის შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს საერთაშორისო შეთანხმებებთან.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ინტელექტუალური შემოქმედების განსაკუთრებული დაცვა მე-20 მუხ. პირველი ნაწ. მე-2 წინ. პირდაპირ არის გაძლიერებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვით.

ბ) შრომის თავისუფლება

26-ე მუხლში შრომის თავისუფლება კანონპროექტის აქტუალურ ვერსიაში უფრო გასაგებადაა ჩამოყალიბებული როგორც ძირითადი უფლება, რომელშიც საუბარია შრომისა და მეწარმეობის თავისუფლებაზე, რაც ერთნაირად გარანტირებულია; აგრეთვე ხაზგასასმელია, რომ თანაბარი უფლებრივი სტატუსით სარგებლობს, როგორც ინდმეწარმე, აგრეთვე დასაქმებული პირი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მე-4 ნაწ. შესაბამისად აკონკრეტებს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს კონსტიტუციის საფუძვლების ნაწილში.

მონოპოლიურ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული ფორმულირება, რომ „აკრძალულია“ მონოპოლიების შექმნა საჭიროებს დაკონკრეტებას, ერთმნიშვნელოვნად ვერ ირკვევა სამართლებრივი შედეგები. აქედან გამომდინარე პირდაპირ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ კანონმა ხელი უნდა შეუშალოს მონოპოლიების შექმნას ან უნდა გაუქმდეს მონოპოლიები.

5. თანასწორობა

ქალისა და კაცის თანასწორობის პრინციპი და, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაკვეთა ქალისა და კაცის თანასწორობასთან დაკავშირებით აქტუალურ ვერსიაში სისტემურად სწორად გადანაცვლდა თანასწორობის ზოგად ნაწილში. ფორმულირება უფრო თანმიმდევრული და კონკრეტულია და შეიცავს პირდაპირ ვალდებულებას, რომ მოხდეს ფაქტობრივი თანასწორობის ხელშეწყობა, რაც განსაკუთრებით გამოიხატება ფორმულირებაში თანაბარი „შესაძლებლობები“ და არათანაბარი მდგომარეობის

⁵³ Vgl. dazu grundlegend BVerfGE 24, 367 (389); 100, 226 (240 f.).

აღმოფხვრაში. ამით გასაგებად წარმოჩინდება, რომ კონსტიტუციასთან თანხვედრაშია ის სპეციალური, ქალებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

მე-11 მუხ. პირველ ნაწილში მოწესრიგებულ ზოგად თანასწორობასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, უდნა ჰქონდეს თუ არა მე-2 წინადადებაში ნახსენებ დისკრიმინაციის აკრძალვას მოქალაქეებს შორის დისკრიმინაციის შემთხვევებში უშუალო მოქმედების ძალა; ამის ამგვარ გაგებაზე მეტყველებს ფრაზა - აკრძალულია - თუმცა, ეს მიგვიყვანდა არსებით შეზღუდვებამდე, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების თავისუფლების კუთხით. მსგავსი შეზღუდვები პირდაპირ უნდა იქნეს მოწესრიგებული კანონში.

მე-11 მუხ. მე-2 ნაწ. თანასწორობის წინადადებასთან დაკავშირებით სისტემური თვალსაზრისით იმპერატიულად არ მოქმედებს და აქედან გამომდინარე, კონსტიტუციაში სხვა ადგილას უნდა იქნეს განთავსებული.

6. სხვა ძირითადი უფლებები, ზოგადი დებულებები

სამოქალაქო უფლებების დებულებებთან დაკავშირებით, მაშასადამე, პოლიტიკური მონაწილეობის უფლებებთან დაკავშირებით, როგორცაა პარტიის დაარსება, საარჩევნო უფლება და საჯარო თანამდებობის თანაბარი ხელმისაწვდომობა, 23-25 მუხ. დასამატებელი არაფერია. აქტუალურ ვერსიაში 23-ე მუხ. მე-3 ნაწ. მე-2 წინ. დანაწესი ტერიტორიული ნიშნით პარტიების შექმნის დაუშვებლობასთან დაკავშირებით ნიშნავს პარტიების დაარსების თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვას, თუმცა გამართლებულია ტერიტორიული და ეროვნული ერთიანობის ინტერესების გათვალისწინებით.

აგრეთვე წესრიგშია საქართველოს მოქალაქეობის მუხლის დანაწესი (მუხ. 32)

31-ე მუხ. პროცესუალური უფლებები, შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხ. და პასუხობს ზოგად ევროპულ სტანდარტებს, თუმცა პირველი ნაწ. მე-2 წინადადებაში შეიძლება დამატებით სწრაფი პროცესის უფლების გათვალისწინება, მე-2 ნაწ. გასაგებად ჩაწერა, რომ შესაბამისი განსჯადობის სასამართლო კანონით უნდა იქნეს გათვალისწინებული. დაცვის უფლება 31-ე მუხ. მე-3 ნაწ. მიხედვით კარგად არის კონკრეტიზებული. სისტემურად სწორად მოხდა წინარე ვერსიაში 29-ე მუხ. მე-12 ნაწ. მოწესრიგებული სახელმწიფო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის კარგი მმართველობის დანაწესში გადატანა.

27-ე და 28-ე მუხ. შეიცავს მიდგომებს სოციალურ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით. 26-ე მუხ. პირველ ნაწ. დაკავშირებით გაუგებარია შეიძლება თუ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სამსახურისგან ჩამოთვლილი სერვისების უფასოდ მიღება. კანონპროექტის დასაბუთების მიხედვით ეს ასე არ უნდა იყოს, თუმცა სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

კონსტიტუციის დანაწესები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რომელიც მოწესრიგებულია 29-ე მუხლში და მის მე-2 ნაწ. სახელმწიფოს მიზნის განსაზღვრით, როგორც თავიდან აღინიშნა ეს მიდგომა სისტემური თვალსაზრისით უმჯობესია, ვინაიდან ამით მოცემულია გარემოსდაცვითი ასპექტების ერთმანეთთან კავშირში მყოფი და თანმიმდევრული გადმოცემა. მე-3 ნაწ. პირველი წინადადება სულ მცირე გაუგებარია, რაც ეხება სხვა დანარჩენ სუბიექტურ უფლებებს. მართალია სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებისგან შესაძლებელია გამომდინარეობდეს დამცავი ვალდებულებები გარემოზე ზემოქმედების წინააღმდეგ, თუმცა ზოგადი უფლება, რომ იცხოვრო იმ პირობებში, რომელიც არ ვნებს ჯამრთელობას, ვფიქრობ ძალზე შორს მიდის და არ ტოვებს მოქმედების სივრცეს. ამისგან განსხვავებით გარემოს მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების უფლება პირველი ნაწ. მე-2 წინ. შესაბამისად და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში მონაწილეობის უფლება პირველი ნაწ. მე-3 წინ. შესაბამისად გასაგებად არის ფორმულირებული როგორც სუბიექტური უფლება.

31-ე მუხ. ზოგადი რეგულაციები შეიძლება მეტი თვალსაზრისით იმ მიმართულებით განივრცოს, რომ ძირითადი უფლებების შეზღუდვები ნებადართულია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონისმიერი საფუძვლით და რომ ჩარევა თანაზომიერი უნდა იყოს იმ მიზნისა, რომლის მისაღწევადაც ის ხორციელდება.

32-ე მუხ. ითვალისწინებს სახელშეკრულებო საფუძვლით გადაცემის შესაძლებლობას. ჩემი აზრით ეს კავშირში უნდა იყოს საკონსტიტუციო-სამართლებრივ დათქმებს,⁵⁴ იმ კუთხით, რომ იგივე დონეზე მოხდეს კონსტიტუციის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების უზრუნველყოფა.

7. მუხლების თანმიმდევრულობა

ძირითადი უფლების მუხლების თანმიმდევრობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კონსტიტუციის ძირითადი უფლებების ნაწილის ნორმატიული შინაარსისთვის; ამ მიმართულებით კონსტიტუციები მაინცდამაინც აუცილებლად ლოგიკურ თანმიმდევრულობას არ მიჰყვება. თუმცა გონივრულია, რომ თემატურად მონათესავე ძირითადი უფლებების რეგულაციები ერთმანეთის მიყოლებით დავალაგოთ.

გონივრულია მე-9 მუხ. დაწყება, როგორც უკვე აღინიშნა, და აგრეთვე ამის შემდგომ სიცოცხლის უფლების ცალკე მუხლად ჩამოყალიბება, მე-10 მუხ., რომელსაც აქ, მსგავსად ფედერალური კონსტიტუციისა, მოსდევს თანასწორობის მუხლი (მე-11 მუხ.). ვინაიდან ის შესაძლოა დანახულ იქნეს როგორც ადამიანის ღირსების გამოხატულება, ეჭვგარეშე გონივრული იქნებოდა, მისი გადატანა ადამიანის ღირსების მუხლის შემდეგ. აგრეთვე უმჯობესი იქნებოდა პიროვნული უფლებების დაცვა მოწესრიგდეს მე-12-16 მუხლით; შემდეგი დებულებები გასაგები სისტემურობით არ

⁵⁴Vgl. zum europäischen Haftbefehl BVerfGE 113, 273.

გამოირჩევა: მე-17 მუხ. აზრისა და მედიის თავისუფლება, როგორც კომუნიკაციის თავისუფლებები, შემდგომ უშუალოდ კარგი მმართველობის უფლება მე-18 მუხ. შემდგომ საკუთრების გარანტია მე-20 მუხ. და პირობითად 21-ე მუხ. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ეძღვნება კომუნიკაციურ და კოლექტიურ ქმედებას. პარტიის თავისუფლების გაგება, როგორც გაერთიანების თავისუფლების სპეციალური გამოხატულება 22-ე და 23-ე მუხ. გონივრულია. 27-29 მუხ. მოიცავს „სოციალურ ძირითად უფლებებს“. ეკონომიკური ქმედების ძირითადი უფლებები, სამოქალაქო უფლებები და სასამართლო უფლებები აგრეთვე არ არის გამართული სისტემური თვალსაზრისით, თუმცა კონსტიტუციის თანმიმდევრულობის ინტერესიდან გამომდინარე ეჭვგარეშე გონივრულია, რომ არ მოხდეს არსებული წესიდან გადახვევა, თუ ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას.

IV. პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა - სახელმწიფო მოწყობის საკითხები

1. პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციაში

ა) პოზიცია კონსტიტუციურ სტრუქტურაში

პარლამენტის პოზიციისგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, როგორც უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე კონსტიტუციური ორგანოსგან საპარლამენტო დემოკრატიაში, მომდინარეობს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- საკანონმდებლო ფუნქცია, რომელშიც აგრეთვე შედის ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება,
- კონტროლის ფუნქცია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით მთავრობის მიმართ,
- დანიშვნის ფუნქცია სხვა კონსტიტუციურ ორგანოებთან დაკავშირებით
- „წარმომადგენლობითი“ ფუნქცია და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქცია; ამით ხდება ბუნდესთაგის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტი), როგორც ხალხის ფაქტობრივი წარმომადგენლის და პოლიტიკური დებატებისთვის პირდაპირი ფორუმის ხაზგასმა.

გარდა ამისა, პარლამენტს ზოგადად აქვს „განმსაზღვრელი წილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში“. მაშინ, როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის ამას „არ აწესრიგებს კომპეტენციების ამომწურავი განაწილებით, არამედ ამ უფლებამოსილებას, პირველ რიგში, აქცევს პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედების საგნად, პირველ ყოვლისა, პარლამენტისა და მთავრობის“⁵⁵ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 48-ე მუხ. ამას უფრო ფართოდ გამოხატავს, როდესაც ის საქართველოს პარლამენტს ანიჭებს ფუნქციას, გარდა საკანონმდებლო ფუნქციისა და მთავრობის კონტროლისა, განსაზღვროს „ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებები“. წინამდებარე კონსტიტუციის კანონპროექტის 36-ე მუხ. პირველი ნაწ. ადასტურებს პარლამენტს ამ ხაზგასმულ როლს.

ჩემი აზრით, ეს არის კარგი დამხმარე დანაწესი, რომელიც კომპეტენციების კონფლიქტისას შეიძლება მოშველიებულ იქნეს, როგორც განმარტების დირექტივა, ისევე როგორც სახელწოდება „ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო“.

ბ) საარჩევნო სისტემა

აგრეთვე გონივრულად მიმაჩნია, საარჩევნო სისტემის პირდაპირ განსაზღვრა, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე კანონპროექტის 37-ე მუხ. მე-2 ნაწ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა საპარლამენტო ტრადიციის გათვალისწინებით, ეს ახალი ფედერაციული მხარეების (ყოფილი გდრ) კონსტიტუციებშიც ასეა, მაგ. საქსონიის ფედერაციული მხარის კონსტიტუციაში. საარჩევნო სისტემის ორივე პრინციპული მიმართულების დადებითი და

⁵⁵ Hesse, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland. 20. Aufl. 1995, Rdn. 572, 588.

უარყოფითი მხარეები, ვგულისხმობ მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს, საკმარისად ცნობილია ყველასთვის. მოქმედი რედაქციის 49-ე მუხ. ცდილობს ორივე სისტემის დადებითი მხარეების კომბინირებას, თუმცა, როგორც ჩანს, არ ხდება პირდაპირი მანდატების ჩათვლა პროპორციული არჩევნების პრინციპით მიღებული ხმებთან ერთად, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის შემადგენლობა ამის შემდეგაც არ შეესაბამება პარტიების ძალების ფაქტობრივ თანაფარდობას. გამომდინარე მსგავსად კომბინირებული საარჩევნო სისტემის კონფლიქტური ბუნებიდან, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მთელ რიგ კონსტიტუციურ კონფლიქტებში გადაიზარდა,⁵⁶ ეჭვგარეშე გონივრულია შემოთავაზებული გადასვლა წმინდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე.

მანდატების განაწილების რეგულაცია, რომელსაც გვთავაზობს 37-ე მუხ. მე-6 ნაწ. მნიშვნელოვანწილად ეხება საარჩევნო უფლების თანასწორობის პრინციპს.

საარჩევნო უფლების თანასწორობის პრინციპი, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ ყოველ ხმას ერთი და იგივე წონა აქვს, თუმცა, ამას გარდა, ის ასევე ნიშნავს წარმატების ღირებულების თანასწორობას და ეს გადამწყვეტ კითხვებს ბადებს.: ყველა ხმას უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე სამართლებრივი წარმატების შანსი.⁵⁷ საარჩევნო სისტემა ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ ეს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი. თუ ვირჩევთ პროპორციული არჩევნების სისტემას, წარმატების ღირებულების თანასწორობა ნიშნავს: პარტიებზე მოსული მანდატების გამოთვლა ისე უნდა განხორციელდეს, რომ ხმების რაოდენობა, რომელიც ერთ მანდატზე მოდის, დაახლოებით ერთი და იმავე სიდიდის იყოს. ყოველ ამომრჩეველს მის მიერ მიცემული ხმით თანაბარი ზეგავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს პარლამენტის შემადგენლობაზე.⁵⁸

თუმცა საარჩევნო უფლების თანასწორობა არსებითად იზღუდება საარჩევნო ბარიერებით, როგორცაა გათვალისწინებული 5% საარჩევნო ბარიერი, განსაკუთრებით ხელისშემშლელად მოქმედებს ეს თანაბარი შანსების კუთხით, უპირველეს ყოვლისა, პატარა, ახალი პარტიებისთვის. სხვაობები საარჩევნო სამართალში „შესაძლებელია გამართლდეს საფუძვლებით, რომელსაც კონსტიტუციური ლეგიტიმაცია და ის წონა გააჩნია, რომელსაც შეუძლია გადაწონოს საარჩევნო უფლების თანასწორობა“⁵⁹. ეს არის არჩევნების ინტეგრირებული ხასიათი და ფუნქციონირებადი პარლამენტის მიზანი. არჩევნებმა უნდა მოგვცეს ფუნქციონირებადი წარმომადგენლობითი ორგანო - დიდი რაოდენობით პატარ-პატარა ჯგუფებმა კი შეიძლება ხელშემშლელად იმოქმედოს სახალხო წარმომადგენლობის ქმედუნარიანობაზე⁶⁰. საქმე ეხება კონსტიტუციური ორგანოების ქმედუნარიანობას და გადაწყვეტილებაუნარიანობას⁶¹. 5% კი წარმოადგენს კვორუმის ზედა ზღვარს, რომელიც საჭიროა არჩევნების ფუნქციისთვის, ხალხში ყველა ძალისა და მიმდინარეობის

⁵⁶ BVerfGE 121, 266; 129, 300; 135, 259.

⁵⁷ BVerfGE 121, 266, 295 f.; 129, 300, 317 f; BVerfGE 135, 259 Rn 46.

⁵⁸ BVerfGE 135, 259 Rn 45.

⁵⁹ BVerfGE 135, 259 Rdn., 54.

⁶⁰ BVerfGE 95, 408 (418 f); 135, 259 Rdn. 52, 54.

⁶¹ BayVerfGH NVwZ-RR 2007, 73 = BayVBl 2007, 13; vgl. auch ThürVerfGH ThürVBl 2006, 229 zur Sperrklausel im Kommunalwahlrecht.

ინტეგრირების ხელშეწყობისთვის - ასე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო⁶². გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 5%-მა ბარიერმა საპარლამენტო არჩევნებისას აქამდე ყველა საკონსტიტუციო სამართლებრივ შემოტევას გაუძლო. 2013 წლის არჩევნებში მას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 10% გაუთვალისწინებელი დარჩა.

კონსტიტუციის კანონპროექტის 34-ე მუხ. მე-6 ნაწ. პირველი წინადადება აქედან გამომდინარე გამართლებულია დემოკრატიულ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ამას ემატება საარჩევნო უფლების თანასწორობის პრინციპის კიდევ ერთი შეზღუდვა მე-6 ნაწ. მე-4 წინ. დანაწესის საფუძველზე, რომლის მიხედვით, თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს მიიღებს ის პოლიტიკური პარტია, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ის რომ, მანდატების განაწილებისას პარტიები 150 მანდატს ვერ იღებენ, ეს უკავშირდება მანდატების განაწილების გამოთვლის თავისებურებებს 37-ე მუხ. მე-6 ნაწ. მე-3 წინ. შესაბამისად.

გამოთვლის წესი მე ასე მესახება:

წარმოვიდგინოთ 2,5 მილიონმა საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველმა მისცა ხმა. პარტია „ა“ ჩავთვალოთ მიიღო ხმების 40%, მაშასადამე 1 მილიონი ხმა, პარტია „ბ“-მ 30%, პარტია „გ“-მ 20%; დარჩენილი 10% მიიღეს დარჩენილმა პარტიებმა, რომელთა გათვალისწინება არ ხდება ვინაიდან ვერ დაძლიეს 5% ბარიერი. აქედან გამომდინარეობს მანდატების შემდეგი განაწილება:

პარტია „ა“: 1.000.000 გავამრავლოთ 150-ზე და გავყოთ 2.500.000: 60 მანდატი

პარტია „ბ“: 750.000X150:2.500.000: 45 მანდატი

პარტია „გ“: 500.000X150:2.500.000: 30 მანდატი

ამით საერთო ჯამში გაიცემა 135 მანდატი, რჩება 15 მანდატი პარლამენტის სრულად შესავსებად; მაშასადამე ამ 15 მანდატს მიიღებდა პარტია „ა“.

მოდIFIკაცია: პარტია „ა“ 40%, „ბ“ და „გ“ შესაბამისად 20-20%, ხოლო 20% მოდის პარტიებზე, რომლებმაც ვერ გადალახეს 5% ბარიერი: პირველადი განაწილებისას „ა“ კვლავინდებურად 60 მანდატს მიიღებდა, „ბ“ და „გ“ 30-30 მანდატს, ისე რომ 30 ადგილი დასაკავებელია - ამ 30 ადგილს მიიღებდა „ა“ და საერთო ჯამში ავიდოდა 90 მანდატამდე.

ეს განაწილება შეესაბამება გასული არჩევნების (2016) შედეგებს, როდესაც საერთო ჯამში 30 დარჩენილი მანდატი იყო დასარიგებელი. პარტია, რომელიც დაახლოებით ხმების 50% იღებს, ამით შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობას მიუახლოვდეს ან გამომდინარე ამომრჩევლის ქცევიდან მიიღოს კიდევ.

დარჩენილი მანდატების განაწილების აუცილებლობა არ იდგებოდა დღის წესრიგში, თუ 150 მანდატი თავიდანვე წარმატებული ხმების - მაშასადამე, მანდატების განაწილებისას

⁶² BVerfGE 82, 322 (339).

გასათვალისწინებელი ხმების - თანაფარდობის მიხედვით განაწილდებოდა. მაშასადამე, ძლიერი პარტიისთვის დარჩენილი მანდატების მიცემასთან დაკავშირებული საარჩევნო უფლების თანასწორობის შეზღუდვა, მინცდამაინც არსებულ სისტემას არ უკავშირდება.

ეს ამალღებს მოთხოვნებს წარმატების ღირებულების თანასწორობის დარღვევის გამართლებისადმი. მაშასადამე, სახელმწიფოს მართვისუნარიანი უმრავლესობების შექმნას იმდენად მაღალი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რომ ამან გაამართლოს მათ შორის არსებითი გადახვევა საარჩევნო უფლების თანასწორობისგან. ამის შეფასება წარმოადგენს, პირველ რიგში, კონსტიტუციის გადამსინჯავი კანონმდებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას; მსგავსი ბონუსები ხმათა უმრავლესობის მქონე პარტიებისთვის გათვალისწინებულია საბერძნეთში და აგრეთვე განზრახულია მათი შემოღება იტალიაშიც, როგორც წესი, იქ არსებული არასტაბილური მთავრობების გათვალისწინებით, მაშასადამე, მთლად დემოკრატიული კონსტიტუციების მქონე სახელმწიფოების ფარგლებს არ ცდება, მით უმეტეს, რომ წმინდა მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასაც მიყვავართ იქითკენ, რომ პარლამენტის დაკომპლექტება არ ხდება პარტიების ფაქტობრივი ძალთა თანაფარდობის შესაბამისად და ეს არ ითვლება ანტიდემოკრატიულად.

მიუხედავად ამისა, უნდა შეიზღუდოს შესაბამის საარჩევნო სისტემაში ის გადახვევები, რომელიც სისტემიდან არ გამომდინარეობს. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომა შეიძლება იქნეს გამოყენებული.

- ექვგარეშე უპრობლემოდ შეიძლება განაწილების რეჟიმის იმ მიმართულებით შეცვლა, რომ მანდატების განაწილება მოხდეს ხმების ხვედრითი წილის პროპორციულად ისე, რომ არ დარჩეს გაუნაწილებელი მანდატები და ამით წარმატებული პარტიები მათი სიძლიერის პროპორციულად იყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში.
- დარჩენილი მანდატები აგრეთვე შეიძლება განაწილდეს წარმატებული პარტიების ფაქტობრივად მიღებული ხმების პროპორციულად;
- თუ გვსურს არსებული განაწილების რეჟიმის შენარჩუნება, მაშინ დარჩენილი მანდატების რაოდენობა უზომოდ არ უნდა გაიზარდოს; აქედან გამომდინარე არსებული საარჩევნო რეჟიმის კომპენსაცია იქნებოდა 5% ბარიერის 3% დაწვევა, აგრეთვე უნდა გადასინჯოს კონსტიტუციის ცვლილების წინაპირობები.
- ზოგადად, ხმათა უმრავლესობის მქონე პარტიების წახალისება მანდატების განაწილებისას უნდა ხორციელდებოდეს საპარლამენტო პროცედურების ფარგლებში უმცირესობების გაძლიერების პარალელურად.

გ) საპარლამენტო უმცირესობის უფლებები

საარჩევნო სისტემით საპარლამენტო უმრავლესობების ტენდენციურად პრივილეგიების გაძლიერების გათვალისწინებით, მით უფრო აუცილებელია პარლამენტში უმცირესობების უფლებების დაზუსტება. ეს, პირველ რიგში, ეხება პარტიულ-სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ სახელმწიფოებში ოპოზიციისთვის მინიჭებულ როლს მთავრობის საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებით.

ა) საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება

პარლამენტის ცენტრალურ მაკონტროლებელ უფლებამოსილებებში შედის საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება, მაშასადამე, უფლება გამოიყენოს საგამოძიებო კომისიები. ამ ინსტრუმენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ მნიშვნელობას შეესაბამება, რომ მოხდეს ცალკე მუხლად მოწესრიგება - 42-ე მუხ. ორგანოების უფლებების დებულებები, როგორც ჩანს,, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ხარვეზებს შეიცავს, არადა ეს წარმოადგენს ქმედითი ოპოზიციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, კერძოდ, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან დაკავშირებით არსებული გამოცდილებისა და ცალკეული ფედერაციული მხარის კონსტიტუციების მიხედვით, ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხშირ საფუძველს კონსტიტუციის კონფლიქტებთან დაკავშირებით პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართებისას. აქ საქმე ეხება განსაკუთრებული კუთხით უმცირესობის უფლებას. რის გამოძიების უფლება აქვს საგამოძიებო კომისიას და რა უფლებები აქვს მას მინიჭებული ამისთვის სხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართ ეს ყველა შემთხვევაში მოწესრიგებული უნდა იყოს კონსტიტუციაში ძირითადი პუნქტების სახით.

ამ კუთხით 38-ე მუხ. მე-4 ნაწ. დანაწესი დეფიციტურად უნდა ჩაითვალოს. საპარლამენტო კონტროლის მოთხოვნა არასაკმარისად არის მოწესრიგებული. განსაკუთრებით საპარლამენტო უმცირესობის დაცვის მოთხოვნას მხოლოდ ნაწილობრივ აქვს ანგარიში გაწეული.

საგამოძიებო კომისია შეიძლება შეიქმნას ზოგადად აღიარებული საპარლამენტო ტრადიციების შესაბამისად უმრავლესობის გადაწყვეტილებით - უმრავლესობის მიერ დანიშნული კომისია - ან კვალიფიციური უმცირესობის მოთხოვნით - უმცირესობის მიერ დანიშნული კომისია. ამ უკანასკნელის დროს აუცილებელია კვალიფიციური უმცირესობა. ამას პასუხობს აგრეთვე 42-ე მუხ. ის რომ პირველი ნაწილის მიხედვით პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები, წარმოადგენს ობიექტურ კვორუმს. თუმცა გაუგებარია ძალზე მაღალი კვორუმი ერთი მესამედის სახით მე-2 ნაწ. მიხედვით. ეგრეთწოდებული დროებითი კომისიებისას. მიმართება პირველ და მე-2 ნაწ. შორის კვლავინდებურად გაუგებარია. ის, რომ 42-ე მუხ. მე-2 ნაწ. მე-4 წინ. მიხედვით კომისიაში უმრავლესობის მქონე პარტიის წარმომადგენლების რაოდენობა შეიზღუდება, ეს დანაწესი ყველა შემთხვევაში მისასაღმებელია საპარლამენტო უმცირესობის დაცვის კუთხით ისევე, როგორც ყოველი ფრაქციისთვის ერთი ადგილის პირდაპირ გათვალისწინება მე-3 ნაწ.

შესატყვისი იქნებოდა აგრეთვე საგამოძიებო უფლების საგანთან დაკავშირებით ინფორმაციის არსებობა, მაშასადამე, კითხვასთან დაკავშირებით, თუ რის გამოძიების უფლება აქვს საგამოძიებო კომისიას. ყოველ შემთხვევაში, საქმე უნდა ეხებოდეს ფაქტების დადგენას, რისთვისაც უნდა მოხდეს საჭირო მტკიცებულებების შეგროვება. უპირველეს ყოვლისა, საგამოძიებო კომისია წარმოადგენს პარლამენტის ქვეგანაყოფს - მაშასადამე, მას არ შეიძლება ჰქონდეს მეტი უფლებები, ვიდრე თვითონ პარლამენტს. ამასთან, განასხვავებენ კონტროლის

განმახორციელებელ საგამომიებო კომისიასა და ე.წ. საკანონმდებლო საგამომიებო კომისიას⁶³ - ეს უკანასკნელი უნდა ემსახურებოდეს კომპლექსური საკანონმდებლო პროექტების გამორკვევას, თუმცა პრაქტიკაში მნიშვნელობა ვერ შეიძინა. კონტროლის განმახორციელებელ საგამომიებო კომისიის შემთხვევაში საუბრობენ, მათ შორის, ბოროტად გამოყენების შემთხვევების საგამომიებო კომისიასა და სკანდალის საგამომიებო კომისიაზე.

გარდა ამისა, გონივრულია საგამომიებო კომისიის მიერ მტკიცებულებების შეგროვების უფლებების უფრო დეტალურად მოწესრიგება.

საპარლამენტო საგამომიებო კომისიის საკვანძო სფეროს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი და, განსაკუთრებით, მთავრობის ქმედებების კონტროლი.⁶⁴ თუმცა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ამ შემთხვევაში შეზღუდვებს აწესებს: საგამომიებო კომისია არ უნდა შეეხოს აღმასრულებელი შტოს საკუთარი პასუხისმგებლობის საკვანძო სფეროს, მთავრობის პრინციპულად გამოუკვლეველ „საინიციატივო, საკონსულტაციო და მოქმედების სფეროს“⁶⁵. ამაში შედის, პირველ რიგში, შიდასახელისუფლებო ნების ფორმირების პროცესი - თუ მოხდება ამის ცალკეულად შესწავლა, ამან შესაძლოა გრძელვადიანად ხელი შეუშალოს ხელისუფლების ქმედუნარიანობას.⁶⁶ სადაც კვლევითი საპარლამენტო წვდომა აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა პროცესებზე მიუღებლად უშლის ხელს ამ უკანასკნელს საკუთარი მოვალეობების განხორციელებაში, იქ იზღუდება საპარლამენტო კონტროლის უფლებები. საგამომიებო დავალება არ შეიძლება იქცეს თანამმართველობად. ამიტომაც, დაუსრულებელი პროცესები პრინციპულად არ შეიძლება იქნეს გამოძიებული. საგამომიებო კომისიას ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე არ აქვს უფლება ჩაერიოს მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასა და დაუსრულებელ სასამართლო საქმეებში.⁶⁷

საგამომიებო კომისიას უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ხელისუფლებისგან და ყველა სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან მტკიცებულებების წარმოდგენა - განსაკუთრებით საქმის მასალების.⁶⁸ გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს საკუთარი დავალების შესრულება ხელისუფლებისა და სხვა ორგანოების წინაშე. საზღვრები შესაძლოა, ისევე როგორც საგამომიებო დავალების განსაზღვრისას, გამომდინარეობდეს ხელისუფლების საკონსტიტუციო-სამართლებრივი სტატუსიდან: არ შეიძლება გამოკვლეულ იქნეს შიდასახელისუფლებო ნების ფორმირების „ძირითადი სფერო“. პარლამენტის საგამომიებო კომისიის შექმნის უფლების მსგავსი საზღვრები უნდა დადგინდეს „პრაქტიკული თანხვედრის“ პრინციპის შესაბამისად⁶⁹. ამ შემთხვევაში სახელმძღვანელო პრინციპია კონსტიტუციური ორგანოების დავალდებულება ურთერთმფარავად ანგარიშის გაწევისთვის („ორგანოების ერთგულება“) - თუმცა, ყოველთვის პარლამენტის პრინციპულად უპირატესი

⁶³ Vgl Maurer, Staatsrecht I, 7. Aufl. 3013, § 13, Rn 136; Magiera, in: Sachs, GG, 7. Aufl. 2014, Art. 44 Rn 4.

⁶⁴ BVerfGE 77, 1 (43); 105, 197 (222).

⁶⁵ BVerfGE 67, 100, 139; 110, 199, 214.

⁶⁶ Hebler/Schulz, JuS 2010, 969, 972; Droegge, DVBl 2015, 937, 939.

⁶⁷ BVerfGE 110, 199 (215)..

⁶⁸ BVerfGE 67, 100.

⁶⁹ Instrukтив: HessStGH NVwZ-RR 1999, 483.

მდგომარეობის დაცვით: ხელისუფლება პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და არა პირიქით. მის გამორკვევის ინტერესს მხოლოდ მაშინ აქვს განსაკუთრებული წონა, როდესაც ადგილი აქვს თვითონ ხელისუფლების შიგნით არასათანადო მდგომარეობის არსებობას.⁷⁰

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის დანაწესები ამ კუთხით არასრულყოფილია, თუმცა ყოველ შემთხვევაში შეიცავს მტკიცებულების შეგროვების უფლებას. მაგალითის სახით მსურს მივუთითო საქსონიის ფედერაციული მხარის 1993 წლის კონსტიტუციაზე, პირველ დემოკრატიულ კონსტიტუციაზე ტოტალიტარულ სისტემებში არსებობის 60 წლის შემდეგ, რომელმაც გაამართლა, როგორც სამუშაო ფორმატმა საპარლამენტო სისტემისთვის და რომელმაც შეძლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის განვითარების აქტუალური მდგომარეობის ინტეგრირება, რომლისთვისაც, თავის მხრივ,, უპირველს ყოვლისა, გზამკვლევს წარმოადგენდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. საქსონიის კონსტიტუციის 54-მუხ. შემდეგნაირად ჟღერს:

54-ე მუხ. [საგამომიებო კომისიები]

- (1) მხარის პარლამენტი უფლებამოსილია და დეპუტატთა მეხუთედის მოთხოვნით ვალდებული შექმნას საგამომიებო კომისიები. გამომიების საგანი უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილებაში. უმცირესობის მოთხოვნაში დასახელებული საგამომიებო საგანი ვერ შეიცვლება განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ.
- (2) საგამომიებო კომისიები საჯარო სხდომაზე აგროვებენ მტკიცებულებებს, რომელსაც თვითონ ან განმცხადებლები მიიჩნევენ საჭიროდ. სხდომა უნდა დაიხუროს, თუ ამას ითხოვს კომისიის დამსწრე წევრთა ორი მესამედი.
- (3) მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს, რამდენადაც ამას ითხოვს კომისიის წევრთა ერთი მეხუთედი.
- (4) საგამომიებო კომისიის წევრთა ერთი მეხუთედი მოთხოვნით ფედერაციული მხარის ხელისუფლება ვალდებულია წარმოადგინოს საქმის მასალები და დართოს მათ სამსახურში დასაქმებულებს ნება გააკეთონ განმარტებები, რამდენადაც ეს განმარტებები არ ეხება აღმასრულებლის პასუხისმგებლობის ქვეშ მდგომ ძირითად სფეროს ან წინააღმდეგობაში არ მოდის კანონის რეგულაციებთან, მესამე პირების უფლებებთან ან საიდუმლოების დაცვის უპირატესი მნიშვნელობის მქონე საკითხებთან.
- (5) სასამართლოებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს აქვთ ერთმანეთისთვის დახმარების გაწევის ვალდებულება.
- (6) უფრო დაწვრილებით საგამომიებო კომისიების შექმნის, მათი უფლებამოსილებებისა და პროცედურების შესახებ მოწესრიგებული იქნება კანონით. მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა რჩება დაცული.

⁷⁰ BVerfGE 110, 199.

(7) საგამომიებო კომისიების გადაწყვეტილებები და შედეგები არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ გადამოწმებას. მიუხედავად ამისა სასამართლოები თავისუფალია ფაქტების შეფასებაში, რომელიც საფუძვლად უდევს გამოძიებას.

პირველი ნაწილი ემსახურება უმცირესობების დაცვას, აგრეთვე მე-4 ნაწ., რომელიც ამავდროულად განსაზღვრავს ხელისუფლებასთან ურთიერთობას.

ფედერაციული მხარის კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. სადამდე მიდის საგამომიებო კომისიის უფლებები და სად იწყება ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკვანძო სფერო, რომელიც ვერ იქნება გამოძიებული საგამომიებო კომისიის მიერ, წარმოადგენს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ხშირი დისკუსიის საგანს.⁷¹

ბბ) კითხვის უფლებები

პარლამენტის მიერ ხელისუფლების კონტროლს ემსახურება აგრეთვე ინტერპელაცია და ხელისუფლების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. მთლიანად პარლამენტს, თუმცა აგრეთვე ცალკეულ ფრაქციებს და დეპუტატებს აქვთ უფლება კითხვით მიმართონ აღმასრულებელ ხელისუფლებას, განსაკუთრებით მთავრობას. საპარლამენტო დემოკრატიის სისტემაში, პარლამენტი - ბუნდესთაგი ან ფედერაციული მხარის პარლამენტი - წარმოადგენს პოლიტიკური ნების ფორმირების ძირითად ფორუმს. ამისთვის და აგრეთვე საკუთარი საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების განსახორციელებლად პარლამენტი დამოკიდებულია მთავრობის მიერ ინფორმაციის მიწოდებაზე. ინტერპელაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს უმცირესობის უფლებას, რომელიც უპირისპირდება ხელისუფლებას და სახელისუფლებო უმრავლესობას პარლამენტში. ინტერპელაცია დამოუკიდებლად მისი პოზიტივირებისგან უკვე გამომდინარეობს დეპუტატის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისგან⁷². ვინაიდან დეპუტატმა მისი მანდატის განხორციელების ფარგლებში უნდა განახორციელოს კონტროლის ფუნქციები ხელისუფლების მიმართ, მას ამის წინაპირობად უნდა გადაეცეს ინფორმაციები, რომლის საფუძველზეც ის ამ ფუნქციას განახორციელებს. ას წარმოადგენს აგრეთვე საპარლამენტო-დემოკრატიული ლეგიტიმაციის პირობას.

ამასთან შესაბამისობაშია 43-ე მუხ. პირველი და მე-2 ნაწ. პასუხის გაცემის ვალდებულების დაზუსტება იმ მიმართულებით უნდა მოხდეს, რომ პასუხის გაცემა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, სრულყოფილად და სიმართლის შესაბამისად.

აგრეთვე კითხვის უფლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპარლამენტო სიტემაში ხშირად წარმოადგენს კონსტიტუციური დავების წყაროს. ვინაიდან ერთ მხარეს დგას პარლამენტი: დეპუტატებს სურთ ინფორმაციის მიღება ხელისუფლებასა და მმართველობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ისინი ახორციელებენ უფლებას, რომ სჭირდებათ ამ ინფორმაციის მიღება, რამეთუ განახორციელონ მათთვის მინიჭებული მანდატი, მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოვალეობის შესაბამისად. მართლაც: დეპუტატი უნდა

⁷¹ Vgl. BVerfGE 124, 161 (183 ff.);

⁷² BVerfGE 124, 161 (181); Harks, JuS 2014, 979.

იყოს ინფორმირებული, რომ მან შეძლოს საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღება. მეორე მხარეს დგას ხელისუფლება. ის თავის მხრივ მიიჩნევს, რომ ხელი ეშლება მის ქმედუნარიანობასა და მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოვალეობის შესრულებაში, თუ ის დართავს ნებისმიერ სახით მისი საქმიანობის კვლევის ნებას. ის ხედავს, რომ საფრთხე ექმნება მესამე პირების დაცვის ღირს სიკეთეებს, როდესაც მოხდება მათი საქმეების პარლამენტის მიერ საჯაროდ განხილვა. ეს შეიძლება იყოს პიროვნული უფლებები და აგრეთვე ეკონომიკური ინტერესები. აგრეთვე ის სახელმწიფოს კეთილდღეობას ხედავს საფრთხის ქვეშ, როდესაც კონფიდენციალურად შესანახი საქმეები საიდუმლოდ არ რჩება.

საქსონიის კონსტიტუციის 51-ე მუხ.

[დეპუტატების კითხვისა და ინფორმაციის მირების უფლება]

- (1) ცალკეული დეპუტატისა და მთლიანად პარლამენტის კითხვებს ხელისუფლებამ ან ხელისუფლების წევრებმა პარლამენტში და მის კომისიებში კეთილსინდისიერად, დაუყოვნებლივ და სრულყოფილად უნდა გასცენ პასუხი. ანალოგიური ვალდებულება აქვს ხელისუფლების წარმომადგენელს კომისიებში.
- (2) ხელისუფლებას შეუძლია უარი თქვას კითხვაზე პასუხის გაცემაზე, რამდენადაც ეს კითხვა ეხება ადმარსრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკვანძო სფეროს ან პასუხის გაცემა ეწინააღმდეგება კანონის რეგულაციებს, მესამე პირის უფლებებს ან საიდუმლოს დაცვის უპირატესი მნიშვნელობის მქონე საკითხებს.
- (3) დანარჩენი საკითხები დაწვრილებით მოწესრიგებული პარლამენტის რეგლამენტით.

დებულებები მაგალითისთვის იქნა მოყვანილი, რათა გასაგები გახდეს, თუ რა საკითხები უნდა მოაწესრიგოს კონსტიტუციამ პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის დონეზე. ახალი ფედერაციული მხარეების (ყოფილი გდრ) 1989 წლის შემდგომ შედგენილ კონსტიტუციებში არარსებული საპარლამენტო ტრადიციის პირობებში გონივრული იყო, დეტალურად მომხდარიყო კონსტიტუციის რეგულაციების შედგენა.

ჩემი რჩევა იქნებოდა მსგავსი მიდგომის შესაძლებლობა განხილულ იქნეს აგრეთვე საქართველოსთვის.

გგ) მაკონტროლებელი უფლებების განხორციელება

თუ ამისთვის არ არის გათვალისწინებული საკონსტიტუციო სამართალწარმოება, კომისიას არ აქვს პრაქტიკულად ხელმოსაჭიდი სამართლებრივი შესაძლებლობა, განახორციელოს საგამომიებო კომისიის მაკონტროლებელი უფლებები და კითხვის დასმის უფლებები. მაშინ, როდესაც უმრავლესობის ფრაქციებს აქვთ ქმედითი ინფორმაციული ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა მათი მთავრობის მიმართ და აგრეთვე უკიდურეს შემთხვევაში შეუძლიათ უნდობლობის გამოცხადებით დაემუქრონ მთავრობას, ეს შესაძლებლობები უმცირესობებისთვის დახურულია.

აქედან გამომდინარე, დაჟინებით გირჩევთ, გაითვალისწინოთ ორგანოებს შორის დავის შესაძლებლობა აგრეთვე მსგავსი კონსტიტუციური კონფლიქტებისთვის.

დ) ბიუჯეტის დამტკიცების უფლება

ბუნდესთაგის ბიუჯეტის დამტკიცების უფლება, მამასადამე, უფლება გადაწყვეტილება მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტთან, შემოსავალთან და ხარჯებთან დაკავშირებით, წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ცენტრალურ მიღწევას, ამიტომაც მას პარლამენტის „სამეფო უფლებასაც“ უწოდებენ.⁷³ ეს წარმოადგენს საპარლამენტო დემოკრატიის მნიშვნელოვან კომპონენტს.⁷⁴ მიუხედავად აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებისა და აგრეთვე გარე ფინანსური კონტროლისა საბიუჯეტო მიმოქცევისას აუცილებელია, რომ პარლამენტმა „ძირითადად შეინარჩუნოს საბოლოო გადაწყვეტილების უფლება ყველა საბიუჯეტო საკითხთან დაკავშირებით“.⁷⁵

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის ბიუჯეტის დამტკიცების უფლებას არსებითი შეზღუდვები აქვს დაწესებული. მოქმედი რედაქციის 93-ე მუხ. მე-3 ნაწ. პირველი წინ. მიხედვით დაუშვებელია მთავრობის თანხმობის გარეშე საბიუჯეტო პროექტში ცვლილებების შეტანა; მე-5 ნაწ. მიხედვით კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ. წინამდებარე კონსტიტუციის პროექტი 62- მუხ. მე-3 ნაწ. პირველ და მე-3 წინადადებაში შეიცავს მსგავს დანაწესებს.

უკვე 66-ე მუხ. მე-3 ნაწ. პირველი წინადადება (შეესაბამება მოქმედი რედაქციის 93-ე მუხ. მე-3 ნაწ. პირველ წინადადებას) ნიშნავს ბიუჯეტის დამტკიცების საპარლამენტო უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას. ის რომ მხოლოდ მთავრობას აქვს ბიუჯეტის პროექტის შეტანის უფლება, შეესაბამება მიღებულ საპარლამენტო პრაქტიკას; აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ინიციატივის უფლება აქვს მხოლოდ ფედერალურ მთავრობას.⁷⁶ თუმცა ის, რომ პარლამენტს არ აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს მთავრობის მიერ შემოტანილ ბიუჯეტის პროექტში, ეს ნიშნავს პარლამენტის ბიუჯეტის დამტკიცების უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას.

პარლამენტის ბიუჯეტის დამტკიცების უფლება აგრეთვე იზღუდება მთავრობის 61-ე მუხ. მე-3 ნაწ. მე-2 წინ გათვალისწინებული უფლებამოსილებით, მოითხოვოს პარლამენტისგან დამატებითი საშუალებები.

აგრეთვე თანხმობის აუცილებლობა 66-ე მუხ. მე-3 ნაწ. მე-3 წინ. მიხედვით (შეესაბამება მოქმედი რედაქციის 93-ე მუხ. მე-5 ნაწ.) მიმდინარე საბიუჯეტო წლის ფინანსურად მნიშვნელოვანი კანონებისთვის ნიშნავს პარლამენტსა და მთავრობას შორის არსებული კომპეტენციების მნიშვნელოვან გადაადგილებას პარლამენტის საზიანოდ და მთავრობის სასარგებლოდ.⁷⁷ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის

⁷³ Vgl. Mähring, Management öffentlicher Finanzen im Südkaukasus, Gutachten, 2014, S. 4.

⁷⁴ S. BVerfGE 129, 124; 132, 195; BVerfG NJW 2014, 1505

⁷⁵ Mähring, Management öffentlicher Finanzen im Südkaukasus, Gutachten, 2014, S. 7

⁷⁶ Jarass, in: Jarass/Pieroth, GG. 14. Aufl. 2016, Art. 110 Rdn. 11.

⁷⁷ Mähring, Management öffentlicher Finanzen im Südkaukasus, Gutachten, 2014, S. 12, dort auch zu der ebenfalls auch im Entwurf vorgesehenen Bestimmungen, wonach der Gesetzentwurf für ein in kommenden Haushaltsjahren

კონსტიტუცია შეიცავს მსგავს რეგულაციას 113-ე მუხ., რომლის მიხედვით ფედერალურ მთავრობას შეუძლია არ დაეთანხმოს განსაზღვრული ფინანსურად მნიშვნელოვანი კანონების მიღებაზე. თუმცა ეს ხდება განსხვავებული და რამდენიმე საფეხურიანი პროცედურების ფარგლებში - ეს დანაწესი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელობის არმქონეა.⁷⁸

ზუსტად ბიუჯეტის საპარლამენტო უფლებამოსილების გაძლიერება შედის საპარლამენტო დემოკრატიის განმტკიცების ინტერესებში განსაკუთრებით ტრანსფორმაციის ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველო.⁷⁹ პარლამენტის ბიუჯეტის დამტკიცების უფლების შემცირებასთან დაკავშირებით დომინანტური როლის სასარგებლოდ, განმარტავს ექსპერტი მერინგი, რომ ის ამას უყურებს „როგორც დაცვას ძალზე გაძლიერებული და ამავდროულად არაპროგნოზირებადი, მძლავრად საკუთარი სარგებლის მიღებაზე მომართული პარლამენტისა და მისი წევრების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მიმართ, რაც საქართველოს შემდგომ განვითარებას პოლიტიკურად სტაბილური დემოკრატიისკენ ჯანსაღი და გრძელვადიანად უზრუნველყოფილი ბიუჯეტით, უსაზღვრო ვალების აღების გარეშე უფრო ავნებდა ვიდრე სარგებელს მოუტანდა“⁸⁰. შემდგომ ის წარმოადგენს იმ ინსტრუმენტებს და პროცედურებს, რომელსაც შეუძლია პარლამენტი აქციოს იმ ორგანოდ, რომელსაც შეეძლება შესაბამისობაში მოიყვანოს მაღალი, დამოუკიდებელი აქტივობის მიზანი ბიუჯეტის სფეროში ფინანსურ-ეკონომიკური გონივრულობის განვითარების საჭიროებასთან. ექსპერტი ძალზე დაბალ შეფასებას აძლევს საქართველოში პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილებას.⁸¹

პარლამენტის ამ სუსტი პოზიციის გათვალისწინებით, თუმცა ამავდროულად ქმედუნარიანი და გადაწყვეტილების ძალაუფლების მქონე პარლამენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გაძლიერება, წარმოადგენს პოლიტიკური ფორმირების მნიშვნელოვან ელემენტს; ეს ეხება ცვლილებების შეტანის უფლებამოსილებას შემოტანილი საბიუჯეტო პროექტში, ისე რომ აუცილებლად გასაუქმებელია 66-ე მუხ. მე-3 ნაწ. პირველ წინადადებაში გათვალისწინებული აკრძალვა; აგრეთვე მე-3 წინადადებასაც შეიძლება ეთქვას უარი.

finanzwirksames Gesetz im Rahmen des von der Regierung jährlich vorzulegenden Dokuments zur gesamtwirtschaftlichen Entwicklung und den finanzwirtschaftlichen Vorhersagen (Basic Date and Directions Document) halten muss.

⁷⁸ Jarass, in: Jarass/Pieroth, GG. 14. Aufl. 2016, Art. 113 Rdn. 1; Kube, Maunz/Dürig, Art. 113 Rdn. 60 f.

⁷⁹ Dies betont Mähring, Management öffentlicher Finanzen im Südkaukasus. Das Budgetrecht der Parlamente, Gutachten, 2015, S. 11

⁸⁰ Mähring, Management öffentlicher Finanzen im Südkaukasus. Das Budgetrecht der Parlamente, Gutachten, 2015, S. 14.

⁸¹ A.a.O. S. 48.

ე) აუდიტის სამსახური

69-ე მუხ. ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფო აუდიტი ზედამხედველობას უწევს საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა სახელმწიფო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას“, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანო. მაშასადამე, გათვალისწინებულია აუდიტის მიერ კონტროლი ხარჯვით ნაწილზე, თუმცა აგრეთვე შემოსულობების კონტროლიც არ იქნებოდა პრობლემატური კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით საგადასახადო საიდუმლოსთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო.⁸² საკითხი საჭიროებს აუდიტის სამსახურის მდებარეობის დადგენას, სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოქმედებს. ის ერთმნიშვნელოვნად არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა შედიოდეს⁸³, ამ შემთხვევაში უფრო მოცემულია ორივე ხელისუფლების შტოს კონტროლი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის პირობებში.⁸⁴ აუდიტის სამსახურის კონტროლის უფლებამოსილება კონსტიტუციური რანგისაა და იერარქიულად უტოლდება საგამოძიებო კომისიების მეშვეობით საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას. აქედან გამომდინარე ის გამოდგება, იმ კონსტიტუციური უფლებების შესაზღვრავად, რომელიც წინ აღუდგება მას. ეს აგრეთვე მოქმედებს საგადასახადო საიდუმლოების მიმართ, რამდენადაც ის კონსტიტუციით დაცული უფლებაა.⁸⁵ შემოსავლების ადმინისტრირების კონტროლი - უწინარესად გადასახადების ადმინისტრირების კონტროლი - ამით სახელმწიფო აუდიტისთვის თავიდანვე ხელმიუწვდომელი არ არის. მსგავსი კონტროლის განხორციელება აგრეთვე აქ მოქმედი თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად ანგარიშს უნდა უწევდეს დაცვის ღირს უფლებების. ეს, პირველ რიგში, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ფიზიკური პირების ან კერძო კომპანიების დაცვის ღირს მონაცემებთან შეხებისას უნდა მოხდეს კონფიდენციალურობის დაცვა და არ უნდა მოხდეს მათი გასაჯაროება.

2. პრეზიდენტი

ა) საპრეზიდენტო დემოკრატია და საპარლამენტო დემოკრატია

მაშასადამე, პარლამენტი - პრეზიდენტი - მთავრობის სფეროში საქმე ეხება დემოკრატიულ წესწყობილებაში გასათვალისწინებელ ძალათა თანაფარდობას სახელმწიფოს ამ ორგანოებს შორის არსებული ურთიერთდამაბულობის პირობებში,⁸⁶ და აგრეთვე ხალხის, როგორც

⁸² Die Frage nach dem verfassungsrechtlichen Schutz des Steuergeheimnisses spielte eine maßgebliche Rolle im Fall eines Untersuchungsausschusses zu einer Parteispendenaffaire. Er forderte von der Bundesregierung Vorlage der Steuerakten. Diese verweigerte die Herausgabe unter Berufung auf das Steuergeheimnis. Das Bundesverfassungsgericht entschied, dass die Weigerung der Bundesregierung verfassungsmäßige Rechte des Ausschusses verletzte, BVerfGE 67, 100.

⁸³ Näher Degenhart, Kontrolle der Verwaltung durch Rechnungshöfe, VVDStRL 55 (1996), 190 (193 f.).

⁸⁴ Stern, Staatsrecht II, § 34 II 3.b); Wieland, DVBl 195, 894 (898 ff.); Degenhart, VVDStRL 55 (1996), 190 (204 ff.).

⁸⁵ S. für die ähnlich gelagerte Konfliktsituation im Verhältnis des Untersuchungsausschusses zu Privaten BVerfGE 67, 100

⁸⁶ Vgl. Nettesheim, Der Bundespräsident, in: HStR III, 3. Aufl. 2005, § 61 Rdn. 1.

სუვერენული ნაწილის ინტეგრირებას ამ ურთიერთმიმართებით მიკუთვნებით სისტემაში, და აგრეთვე პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის საკითხს.

დემოკრატიული კონსტიტუციების მქონე ქვეყნებმა შეიმუშავეს ერთმანეთისგან განსხვავებული მოდელები ძალთა თანაფარდობის დასაცავად პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, დაწყებული საპრეზიდენტო დემოკრატით, საფრანგეთის მაგალითზე და დამთავრებული საპარლამენტო დემოკრატით. საპრეზიდენტო დემოკრატიის მქონე ქვეყნებში ქვეყნის პრეზიდენტს ნათლად გაწერილი როლი აქვს, როგორც მთავრობის მეთაურს და აგრეთვე პარლამენტის უშუალო მოწინააღმდეგეს, მაშინ, როდესაც საპარლამენტო დემოკრატიებში, როგორც ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაშია გვხვდება ქვეყნის პრეზიდენტის როლი ერთმნიშვნელოვნად განმარტებული ვერ იქნება.⁸⁷ როდესაც ამასთან კავშირში საუბარია საკონსტიტუციო მონარქიის საფუძველზე ფორმირებულ საკონსტიტუციო ორგანოზე საპარლამენტო დემოკრატიის ფარგლებში, რაც თავისთავად წარმოშობს დამაბულობებს და გაუგებრობებს⁸⁸, რამაც - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციისთვის - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ყველაზე რთულ და უმადურ სახელმწიფო თანამდებობად აქცია,⁸⁹ გასაგები ხდება, რომ დასაწყისში გამოთქმული ეჭვები პრეზიდენტის სტატუსთან დაკავშირებით სავსებით დამახასიათებელია საპარლამენტო დემოკრატიის კონსტიტუციური მართლწესრიგისთვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციამ ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატუსი - ეგრეთწოდებული ჰინდენბურგის სინდრომი - აშკარად შეზღუდულად განსაზღვრა: „მისი საქმიანობაა ძირითადად საუბარი, მოსმენა, მიღება, დასწრება - ის, რაც ნებისმიერს შეუძლია; თუმცა, პრეზიდენტის შემთხვევაში, ეს საზოგადოების წინაშე ხდება, სახელმწიფო თანამდებობრივ აღმატებულ გარემოში. კონსტიტუციურ სახელმწიფოებრივ წარმოდგენაში გათვალისწინებულია პრეზიდენტის დასწრება; თუმცა, ავტორს მისი როლისთვის ტექსტი არ დაუწერია.“⁹⁰

მართლაც, საპარლამენტო რესპუბლიკაში ქვეყნის პრეზიდენტის სტატუსი და ფუნქცია ვერ გადმოიცემა ამომწურავად და ერთმნიშვნელოვნად. ქვეყნის მეთაურის ცნება ნასესხებია საკონსტიტუციო მონარქიიდან და ნაკლებად არის კონკრეტული ინფორმაციის შემცველი, მსგავსად ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლისა. ცნება „pouvoir neutre“, რომელსაც ხშირად იყენებენ ხოლმე ანდაც ნეიტრალური არბიტრი, არ პასუხობს მასში გადმოცემულ შინაარსს და რეალურ ვითარებას, რომ აგრეთვე ქვეყნის პრეზიდენტს არ შეუძლია პოლიტიკიდან სრულად ჩამოცილებულად იმოქმედოს. მისთვის კონსტიტუციის დარაჯის ფუნქციის მინიჭებას, ვერ პასუხობს ვითარებას, რომ პრეზიდენტ არ შეუძლია იყოს ექსკლუზიურად ცალკეული ხელისუფლებების შტოების ფუნქციონირების მთავარი გარანტი, ვინაიდან ის არ

⁸⁷ Nettesheim, Der Bundespräsident, in: HStR III, 3. Aufl. 2005, § 61 Rdn. 1.

⁸⁸ Vgl. Kimminich, BonnK, Vor Art. 54 (1968) Rdn. 13; Ehmke VVDStRL 25 (1067), 239 fragt in einem Diskussionsbeitrag nach der Entbehrlichkeit des Amtes des Bundespräsidenten.

⁸⁹ Kimminich a.a.O.

⁹⁰ Isensee, NJW

დგას ხელისუფლებების მალღა, არამედ ამ ფუნქციის შესრულება პირველ რიგში მინიჭებული უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას.

ბ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები

მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, წინამდებარე კონსტიტუციის პროექტში საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები მნიშვნელოვანწილად დაყვანილია წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებაზე. მოქმედი (2013 წლიდან) რედაქციის მიხედვით მხოლოდ მთავრობა ახორციელებს ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიმართულებებს განსაზღვრავს პარლამენტი. მაშასადამე, პრეზიდენტი ამ მიმართულებით აქტიური როლი არ აქვს. აგრეთვე განსხვავებული არ გამომდინარეობს 49-ე მუხ. მე-3 ნაწ.⁹¹ ქვეყნის არსებითი ფუნქციები პრეზიდენტს - პარლამენტს - მთავრობას შორის კი არ არის გადანაწილებული, არამედ პარლამენტსა და მთავრობას შორის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციისთვის ამ კონსტელაციისთვის - მაშასადამე, პარლამენტისა და მთავრობის მიერ ქვეყნის პოლიტიკური მართვისთვის - არსებობს ცნება „ერთი ხელით“.

თუმცა, წინამდებარე პროექტის შესაბამისად შენარჩუნებულია პრეზიდენტის შეზღუდული ვეტოს უფლება საკანონმდებლო პროცედურების ფარგლებში, რაც მას საპარლამენტო სისტემის კვალობაზე ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. ვეტოს დადების უფლება პრეზიდენტს არა მხოლოდ იმის შესაძლებლობას აძლევს, გააჯანჯლოს საკანონმდებლო პროცედურები, არამედ მისი შენიშვნები 46-ე მუხ. მ-3 ნაწ. შესაბამისად (მოქმედ რედაქციაში 68-ე მუხ. მე-4 ნაწ.) პარლამენტმა უნდა დაძლიოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთან კავშირში შეიძლება დაფიქრება, შეიძლება თუ არა პრეზიდენტის შენიშვნების განხორციელების უფლების თემატურად შეზღუდვა, კერძოდ იმ მიმართულებით, რომ მისი შენიშვნები მიმართული უნდა იყოს კანონის კონსტიტუციურობაზე. მოქმედი რეგულაცია პრეზიდენტს უხსნის არსებითი პოლიტიკური თანამონაწილეობის უფლებებს - დანაწესის სისტემურობა ჰგავს ქართულ და გერმანულ კონსტიტუციებს თუ შევადარებთ, ბუნდესრატის (გერმანიის პარლამენტის მე-2 პალატა) პოლიტიკური თანამონაწილეობის უფლებებზე, როდესაც ბუნდესრატის შენიშვნა ბუნდესთაგმა უნდა დაძლიოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუმცა ვინაიდან „ბოლოს სიტყვა“ საბოლოოდ პარლამენტზეა, ეს რეგულაცია თავსებადია ძირითადად საპარლამენტო სისტემასთან.

პრეზიდენტის სარეზერვო კომპეტენციები⁹², მაშასადამე, უფლებამოსილებები, რომელიც პოლიტიკური არასტაბილურობის სიტუაციებში ან მთავრობისა და პარლამენტის ქმედუუნარობის შემთხვევებში ცოცხლდება, არ უხსნის პრეზიდენტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციისგან განსხვავებით პოლიტიკური დისკრეციული უფლებამოსილების სივრცეებს, მაგ. პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით, როდესაც მთავრობას აღარ აქვს პარლამენტის ნდობა, 56-ე მუხ. და აგრეთვე უნდობლობის გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით 57-ე მუხ.

⁹¹ Entwurfsbegründung zu Art. 49.

⁹² Vgl. Degenhart, Staatsrecht I – Staatsorganisationsrecht, 32. Aufl 2016 Rdn

52-ე მუხ. პირველი ნაწილის მრავალრიცხოვანი კომპეტენციების ნუსხა აქედან გამომდინარე შემოიფარგლება წარმომადგენლობითი ფუნქციებით; კომპეტენციები საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებით ა) უნდა განხორციელდეს მთავრობასთან „შეთანხმებით“, რომელიც ბუნებით მთავრობის პატრონაჟის ქვეშ ექცევა. ჯილდოების მინიჭება და შეწყალების უფლება შედის ქვეყნის მთავარსარდლის მოვალეობებში აგრეთვე საპარლამენტო დემოკრატიებში. საკადრო უფლებამოსილებები „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მაქსიმალურად დაკავშირებულია მთავრობის თანხმობასთან.

საპრეზიდენტო სისტემის ელემენტები იკვეთება 52-ე მუხ. მე-2 ნაწ., რომლის მიხედვით პრეზიდენტი „უფლებამოსილია“ და არა ვალდებული, არამედ თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებისას „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში“. თუმცა ამისგან გამორიცხული მატერიები იმდენად ფართოდ არის წარმოდგენილი, რომ აგრეთვე პრეზიდენტის ამ უფლებამოსილებაში არ ჩანს ძალაუფლების მნიშვნელოვანი გადანაცვლება საპარლამენტო დემოკრატიის ფარგლებში. ეს შეფასება მოქმედებს აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრის დანიშვნის უფლების შემთხვევაში, 60-ე მუხ. მე-2 ნაწ. მე-2 წინ., რაც საკონსტიტუციო ცხოვრებაში მონაწილე ორგანოების დაბალანსების ინტერესის გათვალისწინებით გონივრულად მოჩანს და ამასთან შეიძლება წინ აღუდგეს ცალმხრივ პოლიტიზირებას და შესაბამისობაშია პრეზიდენტის როლთან, როგორც „კონსტიტუციის დარაჯი“ მისი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებებთან ერთად. აგრეთვე პრეზიდენტის საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული კომპეტენციები ან შესაბამისად მისი უფლებამოსილებები საომარი მდგომარეობის შემთხვევაში წარმოადგენდა პარლამენტის კომპეტენციას (იხ. იქ).

საერთო ჯამში პრეზიდენტის უფლებამოსილებები სავსებით თავსებადად მიმაჩნია დემოკრატიის პრინციპის საპარლამენტო გამოხატულებებთან; აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის პროექტის ამ პუნქტში ცვლილებების აუცილებლობას ვერ ვხედავ.

გ) პირდაპირი არჩევნები?

პრეზიდენტის შემცირებული უფლებამოსილებების გათვალისწინებით აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ პრეზიდენტის თანამდებობას მისი პირდაპირი არჩევის წესით უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაცია მივანიჭოთ.⁹³ კონსტიტუციის პროექტის 50-ე მუხ. მე-3 ნაწ. გათვალისწინებული სარჩევნო რეჟიმი ჰგავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის წესს ფედერალური ყრილობის მიერ გერმანიის ფედ. რესპ. კონსტიტუციის 54-ე მუხ. მიხედვით. პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევიდან მისი შუალობითი არჩევის წესზე გადასვლისას დანახულ იქნა გერმანიის ფედერ. რესპ. კონსტიტუციის ფუძემდებლური საკონსტიტუციო-პოლიტიკური სისუსტე.⁹⁴ კონსტიტუციის კანონმდებელმა გადაწყვეტილება მიიღო პირდაპირი წესით არჩევის

⁹³ Zur Diskussion um die Direktwahl des Präsidenten s. Gaul, Verfassungsgebung in Georgien, 2001, S. 172 ff.

⁹⁴ Herzog, Maunz/Dürig, Art. 54 Rdn. 11

წინააღმდეგ, რამეთუ ამით თავიდან ყოფილიყო აცილებული ამ თანამდებობის ძლიერი პარტიულ-პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია⁹⁵ - თუმცა რომლის საბოლოოდ თავიდან აცილება შეუძლებელი იყო - რომ არ გამოეწვია პლებისციტის ჩატარების მოლოდინები; სუსტი კომპეტენციებით აღჭურვილი პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევისას მუდმივად ხედავენ კონსტიტუციის მიღმა კომპეტენციების გაფართოების ცდუნების საფრთხეს.⁹⁶ პრეზიდენტის არჩევა მხოლოდ პარლამენტის მიერ კი პრეზიდენტს მიიყვანდა მისი თანამდებობისთვის შეუფერებელ საპარლამენტო დამოკიდებულებამდე.⁹⁷ ეს მოსაზრებები მეტყველებს 46-ე მუხ. მე-3 ნაწ. გათვალისწინებულ პროცედურების სასარგებლოდ.

3. მთავრობა

კონსტრუქციული უნდობლობის გამოცხადების ინსტიტუტით, როგორც ეს 53-ე მუხ. გათვალისწინებული, უდნა მოხდეს უზრუნველყოფა, რომ მთავრობას ჰქონდეს საკმარისი საპარლამენტო უმრავლესობა და რომ პარლამენტისა და მთავრობის ქმედუნარიანობა უზრუნველყოფილი იყოს. ეს დანაწესი განსხვავებით მოქმედი რედაქციის 81-ე და 81¹-ე მუხ. კომპლექსური და რთულად გასაგები რეგულაციისგან გასაგებად არის ფორმულირებული, პროცედურა ფორმირებულია, როგორც ნამდვილი კონსტრუქციული უნდობლობის გამოცხადება, როგორც მსგავსმა რეგულაციამ, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებითი წვლილი შეიტანა საპარლამენტო სისტემის სტაბილურობაში. აგრეთვე მნიშვნელოვანწილად გამარტივდა სხვადასხვა უმრავლესობები და ვადები და პრეზიდენტის გადაწყვეტილების უფლებამოსილებები გასაგებად იქნა ჩამოყალიბებული როგორც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებები (რომელიც დისკრეციას არ უტოვებს პრეზიდენტს).

ასევე გასაგებად და პრაქტიკულადაა მოწესრიგებული უნდობლობის გამოცხადების პროცედურები 56-ე მუხ. მიხედვით.

⁹⁵ Nettesheim, Die Bundesversammlung, HStR III, 3. Aufl. 2005, § 63 Rdn. 1. -

⁹⁶ Herzog a.a.O.

⁹⁷ Nettesheim a.a.O.

V. მართლმსაჯულება

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა

61-ე მუხ. მე-2 ნაწ. მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი; ეს ფორმულირება მთლად გასაგები არ არის, ვინაიდან, ერთი მხრივ, ხორციელდება უვადოდ დანიშვნა, ხოლო, მეორე მხრივ, მითითებულია ასაკის ზღვარი. ალბათ, იგულისხმება: რომ მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ, თუმცა შესაბამისი ასაკის მიღწევას ტოვებენ თანამდებობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების უფლებითა და პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩევით ვფიქრობ საკმარისად არის გათვალისწინებული მოსამართლეთა შესაბამისი დამოუკიდებლობა. ამ კონტექსტში ვფიქრობ, მოსამართლეების სტატუსის დეტალური მოწესრიგება და დაზღვევა წინამდებარე კანონპროექტში მისასალმებელია.

2. საკონსტიტუციო სასამართლო

იმ არაჩვეულებრივი წვლილის გათვალისწინებით, რაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულებამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1949 წლის შემდეგ შეიტანა, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეთა ცნობიერებაში დამკვიდრების კუთხით, ისეთ ისტორიულ სიტუაციაში, რომელშიც არ არსებობდა სტაბილური სამართლებრივ სახელმწიფოებრივი და თავისუფალი ისტორიული წარსული, უფლება მაქვს გირჩიოთ საქართველოში საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გაფართოება და განმტკიცება.

ა) ორგანოებს შორის დავა

60-ე მუხ. მე-4 ნაწ. „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, მთავრობის, სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ; ეს წარმოადგენს ორგანოებს შორის დავის შემთხვევას.⁹⁸ ამის საწინააღმდეგოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 34-ე მუხ. მე-2 ნაწ. ამბობს: „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმეში მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულობა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა“. ამის მიხედვით, როგორც ჩანს, მხოლოდ ნორმატიული აქტები შეიძლება იყოს დავის საგანი. მსგავს შეზღუდვას საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო სამართლებრივად გათვალისწინებული შემოწმების უფლებამოსილების გათვალისწინებით ჩვეულებრივი კანონით, გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოები ანტიკონსტიტუციურად და ბათილად ცნობდნენ. გარდა ამისა, ეს რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19 მუხ. პირველი ნაწ. „ბ“ ქვეპუნქტთან.

⁹⁸So auch Gaul, Verfassungsgebung in Georgien, 2001, S. 253.

კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კომპეტენციებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა შედის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების უშუალო მოვალეობებში; მსგავსი კომპეტენციებთან დაკავშირებული დავები, როგორც წესი, ნორმატიულ აქტებში არ ვლინდება.

როდესაც, ერთი მხრივ, კონსტიტუციაში პარლამენტის უფლებები და აქ, უპირველესად, საპარლამენტო უმცირესობების უფლებების გაძლიერება უნდა მოხდეს, მაშინ არასრულყოფილია, როდესაც ვერ ხდება კონსტიტუციური უფლებების განხორციელება, როგორც მაგ., საგამოძიებო კომისიის უფლება მოითხოვოს მტკიცებულებების გადაცემა ან დეპუტატების უფლება მოითხოვონ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. ზიანის მომტანია კონსტიტუციის ნორმატიული ძალისთვის, როდესაც ვერ ხდება კონსტიტუციური უფლებების განხორციელება, და აგრეთვე როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებები სუსტდება მარტივი კანონებით.

აქედან გამომდინარე კვლავინდებურად დაჟინებით გირჩევთ, რომ დაზუსტდეს 60-ე მუხ. მე-4 ნაწ. „დ“ ქვეპუნქტი იმ მიმართულებით, რომ კონსტიტუციური ორგანოების მხრიდან მოქმედებები და მოქმედებისგან თავის შეკავებები საქმის წარმოების საგანი შეიძლება გახდეს და რომ განცხადების წარდგენის უფლება აქვს ყველა საკონსტიტუციო ცხოვრებაში მონაწილე ორგანოს, რომელიც კონსტიტუციის მიერ საკუთარი უფლებებით არის აღჭურვილი.

ბ) არჩევნების შემოწმება

მსგავსი მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეუთავსებლად მიმაჩნია კონსტიტუციის ნორმატიულ ძალაუფლებასთან ზოგადად გამოირიცხოს არჩევნების შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ; ამასთან უნდა შემოწმდეს, შეცდომით ხომ არ ჩატარდა არჩევნები, მაშასადამე, მაგ., ხმების არასწორი დათვლა, პარტიის არასწორად არ გათვალისწინება, საარჩევნო კომპიუტერების არასწორი გამოყენება, ან კიდევ ეს ყველაფერი ხომ არ განხორციელდა მოქმედი საარჩევნო სამართლის არაკონსტიტუციური დებულებების საფუძველზე.⁹⁹ შესაბამისი განცხადება შეიძლება მხოლოდ წარმატებული იყოს მანდატების რელევანტურობის შემთხვევაში: გასაჩივრებული შეცდომას ფაქტობრივად უნდა მოეხდინა გავლენა პარლამენტის შემადგენლობაზე ან ყოველ შემთხვევაში შესაძლოა მოეხდინა გავლენა.¹⁰⁰ გასაგები უნდა იყოს, რომ ბათილობა არ უნდა იყოს იმპერატიული სამართლებრივი შედეგი. მოქმედებს არჩეული სახალხო წარმომადგენლობის ქმედითობის დაცვის პრინციპი, რომლის ურთერთშეფარდებაც უნდა მოხდეს საარჩევნო შეცდომის წონადობასთან. გარდა ამისა, მოქმედებს, რაც შემლებისდაგვარად მცირე ჩარევის პრინციპი.

ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა არჩევნების შემოწმების ეფექტური წარმოების შემოღება.

⁹⁹ BVerfGE 121, 266 (290)

¹⁰⁰ S. dazu Schreiber, DVBl 2010, 609, 612

გ) ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ წარმოადგენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების იმანენტურ შემადგენელ კომპონენტს. თუმცა, მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, არ ჰქონია მტკიცე კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი ტრადიცია, გადამწყვეტი როლი ითამაშა ძირითადი უფლებების ეფექტიანად განხორციელებაში და ამით საკუთარი წვლილი შეიტანა კონსტიტუციისა და ამ კონსტიტუციით ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს აღიარებულობაში, მსგავსად ინდივიდუალური სარჩელისა ევროპის ადმინისტრაციის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით. თუმცა ამით როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აგრეთვე ადმინისტრაციის უფლებათა ევროპული სასამართლო მათი მართლმსაჯულების შესაძლებლობების ზღვრამდე მივიდა. კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით არსებობს დასაშვებობის პროცედურები სადაც კონსტიტუციური სარჩელი გადის სამი მოსამართლისგან შემდგარი კომისიის ეტაპს, რომლებსაც შეიძლება უარი თქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, თუ არ არსებობს სარჩელის წარმატებულობის პერსპექტივა და არ მომხდარა ძირითადი უფლებების ხარვეზების საკმარისად დასაბუთებულად წარმოდგენა. თუ სახეზეა აზრს მოკლებული კონსტიტუციური სარჩელის შეტანა, მსგავს შემთხვევებში, ბოროტად გამოყენების მოსაკრებლის გადახდაც შეიძლება დაეკისროს განმცხადებელს, მაშინ, როდესაც ზოგადად კონსტიტუციური სარჩელის შეტანისთვის არ არის დაწესებული მოსაკრებელი. ამასთან მკაცრი ყურადღება ექცევა სუბსიდიარულობის პრინციპს. შედეგად გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ორი შესაბამისად 8 მოსამართლით დაკომპლექტებული პალატისგან შედგება, ძალუმს გაუმკლავდეს 80 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყნის ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელებს სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ; სასამართლოს გადატვირთულობის შიშმა არ უნდა განაპირობოს უარის თქმა, კონსტიტუციის აღიარებულობისა და დაცვის კუთხით რეკომენდებული სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის შემოღებაზე.

აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების გაფართოება და დაზუსტება ორგანოებს შორის კომპეტენციებთან დაკავშირებული დავების ნამდვილი წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელისა და ეფექტური საარჩევნო შემოწმების შემოღებით.

VI. სახელმწიფოს უსაფრთხოება

71-73 მუხ. ცალკე თავად მოწესრიგებული საგანგებო და საომარი მდგომარეობების რეგულაციების მიმართ, მათთან დაკავშირებით საერთო ჯამში პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას შორის დაცული ბალანსით, რამე პრინციპული შენიშვნა არ მაქვს. პრეზიდენტის მიერ მისაღები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხორციელდება მთავრობის წარდგინებით 71-ე მუხ. პირველი და მე-2 ნაწ. ან შესაბამისად საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას 71-ე მუხ. 1-3 ნაწ., 72-ე მუხ 1-2 ნაწ. განსაკუთრებით 72-ე მუხ. შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ შეესაბამება საპარლამენტო დემოკრატიისთვის განმსაზღვრელ პრინციპს, ომსა და მშვიდობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პარლამენტის მიერ მიღება.¹⁰¹ ამ პრინციპს იცავს ასევე თავდაცვის საბჭოს შესახებ დებულებები, რომელიც უნდა შემოიფარგლოს კოორდინირებული მოვალეობებით; პრეზიდენტი ამ შემთხვევაში ჩართულია მისი ფუნქციის შესაბამისად; თანმიმდევრული მიდგომაა, პრეზიდენტის მანამდე არსებული უშიშროების საბჭოს აღარ გათვალისწინება.

VII. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა

77-ე მუხ. რეგულაციები კონსტიტუციაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით აწესებს მაღალ საპროცესო ბარიერებს; ეს გონივრულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სისტემის ფორმირება უპირატესობას მიანიჭებდა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმების მქონე უმრავლესობებს. მე-4 ნაწ. ირკვევა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში უნდა შევიდეს „გაწელილი“ პროცედურების გავლის შემდეგ ორი მოწვევის პარლამენტის განმავლობაში; აგრეთვე ესეც პრევენციულად მოქმედებს კონსტიტუციის ცვლილების ინსტრუმენტის გადამეტებულად გამოყენების მიმართ კონსტიტუციური უმრავლესობის მქონე პოლიტიკური ძალების მხრიდან; რამდენადაც მე-4 ნაწ. მე-2 წინ. დანაწესი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ პარლამენტის 3/4 ხმათა უმრავლესობის შემთხვევაში, კონსტიტუციური ცვლილება იმავე მოწვევის პარლამენტის პერიოდშივე განხორციელდება, ამით წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული შიში პარლამენტის ქმედუნარიანობის ხელშეშლასთან დაკავშირებით გაქარწყლებულად ჩაითვლება. მე-4 ნაწ. რეგულაცია მოცემული თარგმანით არც ისე მარტივად გასაგებია და შესაბამისად შეიძლება მისი ენობრივად უფრო გასაგებად ჩამოყალიბება.

მუდმივობის გარანტიის შემოღებაზე ვფიქრობ ღირს დაფიქრება. ის შეიძლება მიმართული იყოს მე-3 და მე-4 მუხლების პრინციპებზე - მხოლოდ მათზე - და აგრეთვე ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის გარანტიაზე მე-8 მუხ.


¹⁰¹ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში გერმანიის შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გამოყენებასთან დაკავშირებით ყოველთვის აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციის თანახმად „გადაწყვეტილება ომის და მშვიდობის შესახებ“ ბუნდესთაგის ქვემდებარე საკითხს წარმოადგენს; BVerfGE 121, 135 (156 f.); Degenhart, Staatsrecht I – Staatsorganisationsrecht, 32. Aufl 2016 Rdn. 40 f.

დასკვნა


საერთო ჯამში, კონსტიტუციის წინამდებარე პროექტი როგორც შინაარსობრივი, ისე სისტემური თვალსაზრისით შეიძლება შემდგარად ჩაითვალოს, რაშიც არც თუ მცირედი წვლილი მიუძღვის იმ ფაქტორს, რომ კონსტიტუციის ტექსტი მოცულობითი თვალსაზრისით არ არის გაწელილი და უარს ამბობს ლიტონ საკონსტიტუციო პროგრამატიკაზე და შემოიფარგლება სამართლებრივად მზოქავი, პრაქტიკული ნორმებით, რომელსაც აქვს უშუალო ნორმატიული მოქმედების ძალა. აქედან გამომდინარე, ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ეხება ცალკეულ დანაწესებს და არა ძირითად კონცეფციას.

ლაიპციგი/ნიურნბერგი 13 მაისი 2017


პროფ. დოქ. დეგენჰარდტი



<http://bit.ly/2AMujlz>



<http://bit.ly/2j7isY5>



<http://bit.ly/2z4DMSS>